აჭარა

გამოცემის 101-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№10 (24.890) ხუთშაბათი, 10 - 11 თებერვალი, 2022 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 7-12, შიდამთიან რაიონებში - 1-6 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 3-8 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 761 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

„ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ - სამთავრობო პროგრამის განხორციელება დაიწყო

ამორტიზებული საცხოვრებლის ახლით ჩანაცვლების პროგრამა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ ჯერ კიდევ ოქტომბერში დააანონსა

„აჭარის მთავრობა და ბათუმის მერია ერთობლივად ვიწყებთ ახალ პროგრამას „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“. ეს იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი შემდეგ წლებში... ამ პროგრამის ფარგლებში ჩვენი უპირველესი მიზანია, რომ ერთი მხრივ, გავაუმჯობესოთ იქ მცხოვრები ოჯახების მდგომარეობა და მეორე მხრივ, ვიზრუნოთ ქალაქის იერსახეზე. რაც შეეხება ბიუჯეტის საბოლოო მოცულობას, 4 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით დაიხარჯება 80 მლნ ლარზე მეტი. მერიის და აჭარის მთავრობის საკუთრებაში არსებული საბინაო ფონდიდან ჩვენ შევთავაზებთ ავარიულ სახლებში მცხოვრებლებს გარემონტებულ ბინებს. ამის პარალელურად, დაიწყება ახალი საცხოვრებელი ბინების მშენებლობა და დასრულებული ჩაბარდება თითოეულ საჭიროების მქონე ოჯახს. ასევე, ცოტა მოგვიანებით, კერძო სექტორს შევთავაზებთ კონკრეტულ პაკეტს, რომელიც ითვალისწინებს საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, ბიზნესის და სამშენებლო სექტორის მეტ ჩართულობას ამ პრობლემის გადაჭრაში. ეს მოიცავს როგორც რეგულაციების კუთხით გარკვეულ სტიმულს, ასევე ფინანსურ თავდებობას, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული პროექტების სიცოცხლისუნარიანობას. კერძო სექტორიც ჩაერთვება ავარიული სახლების პროგრამის განხორციელებაში. საბოლოო ჯამში, ჩვენი მიზანია 2025 წლამდე გადავწყვიტოთ ბათუმში 3 000-ზე მეტი ოჯახის პრობლემა, რომლებსაც, სამწუხაროდ, დღემდე უწევთ ცხოვრება ავარიულ პირობებში, - განაცხადა პროგრამის წარდგენისას თორნიკე რიჟვაძემ.

პროგრამის „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ განხორციელება უკვე დაიწყო.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ და ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა რურუას ქუჩის №1-ში მდებარე ავარიულ კორპუსში მცხოვრებ მოსახლეობას ამის შესახებ თავად აცნობეს. აქედან ოჯახები ბათუმის მერიას ქირით ჰყავდა გაყვანილი.

„70 ოჯახს უკვე დღეიდან მოუგვარდება პრობლემა. ოჯახებს ბინები აჭარის მთავრობისა და ბათუმის მერიის საბინაო ფონდიდან გადაეცემა დასრულებულ საცხოვრებელ კომპლექსში, სრულად გარემონტებულ მდგომარეობაში. პროგრამის ფარგლებში, ყველა ავარიული შენობა ეტაპობრივად ჩანაცვლდება თანამედროვე ტიპის საცხოვრებლით.

ბათუმში 3000-ზე მეტი ოჯახი ავარიულ პირობებში ცხოვრობს. 4 წლის განმავლობაში, საჭიროების მქონე ყველა ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხო საცხოვრისით. პროგრამის განსახორციელებლად მხოლოდ 2022 წლის ბიუჯეტში 20 მლნ ლარია გათვალისწინებული.

საბიუჯეტო პროგრამის პარალელურად, დაიწყება ავარიული და საცხოვრებლად გამოუსადეგარი საცხოვრებელი სახლების გამოთავისუფლებული მიწის ნაკვეთების კერძო სექტორისთვის შეთავაზება. უკვე დაწყებულია პრობლემის მოგვარება ე.წ. შანხაის დასახლებაში, სადაც ავარიულ სახლებში მცხოვრები 150 ოჯახისთვის შენდება ახალი საცხოვრებელი,“ - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

ბათუმის მერის არჩილ ჩიქოვანის თქმით, ოჯახებს ბინები ავარიული ფონდიდან ეძლევა, ოჯახებს ის ფართობი გადაეცემათ, რასაც საკუთრებაში ფლობდნენ. ბინები იქნება გარემონტებული ან ოჯახს, სურვილისამებრ, გადაეცემა რემონტისთვის საჭირო თანხა.

როგორც რურუას ქუჩის ავარიული კორპუსის მობინადრე გუგული ზაქარაძე ამბობს, ოჯახები სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველ გარემოში, შიშისა და მუდმივი სტრესის ქვეშ, გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდნენ. მათ უკვე შესთავაზეს ალტერნატიული ფართი საბინაო ფონდიდან. შეთავაზებას განიხილავენ და სავარაუდოდ, უმრავლესობა დათანხმდება.

რურუას ქუჩაზე არსებული ძველი, ავარიული სახლის დემონტაჟისა და ახალი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის საჭირო პროცედურებს ბათუმის მერია უახლოეს პერიოდში დაიწყებს.

„ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ პროგრამის ფარგლებში, ქალაქში არსებული ყველა ავარიული შენობა თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი კომპლექსით ჩანაცვლდება.

ელენე საყვარელიძე

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბიზნესომბუდსმენად ოთარ დანელია დანიშნა. წარდგენისას მთავ-

რობის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ ბიზნესის მხარდაჭერა საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტია და აღნიშნულ სექტორს მაქსიმალური თანადგომა ექნება. შეხვედრაზე ასევე ხაზი გაესვა, რომ მნიშვნელოვანია მაქსიმალურად გაუმარტივდეს ბიზნესს სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა. დანელია აქამდე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

* * *

„ლელოს“ ლიდერები ბადრი ჯაფარიძე, სალომე სამადაშვილი და გრიგოლ გეგელია ევროპარლამენტარ მიხაელ გალერს (EPP, გერმანია) შეხვდნენ. „საგარეო კომიტეტის წევრთან შეხვედრისას განიხილეს მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, დემოკრატიის და მართლმსაჯულების სისტემის წინაშე არსებული გამოწვევები, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივა და მოქმედი ხელისუფლების ანტიდემოკრატიული ნაბიჯები“, - ნათქვამია „ლელოს“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

ოთხი არასამთავრობო ორგანიზაციის შეფასებით, ამბიციურ საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით შარლ მიშელის დოკუმენტით გათვალისწინებული პუნქტები ნაწილობრივ შესრულდა და ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები არასაკმარისი აღმოჩნდა. 19 აპრილის შეთანხმების - „სამომავლო გზა საქართველოსთვის“ შესრულების მონიტორინგი ორგანიზაციებმა - „ღია საზოგადოების ფონდმა“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“, „სამართლიანმა არჩევნებმა“ და „საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“ განახორციელეს.

* * *

როგორც იცით, ევროკავშირი ძალიან ყურადღებით აკვირდება მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებულ სიტუაციას, ეს მოიცავს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასაც. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ზომები იქნას დაცული, - ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა განაცხადა. მისი თქმით, ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანია ობიექტური სამედიცინო რჩევები და ხელისუფლების მიერ ამ რჩევების გათვალისწინება.

საკმაოდ კრიტიკული იქნება შემდეგი კვირა, რადგან იწყება ინფიცირებულების დამძიმების პერიოდი

4

სასიკეთო ცვლილება - ლარი მყარდება... მაგრამ როდის აისახება ეს ფასებზე?

5

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

პროგრამის - „მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსება“ ბიუჯეტი გაიზარდა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

2022 წელს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსება გაზარდა.

სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, „მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ დარჩენილი თანხის 80% (ნაცვლად 70%-ისა), არაუმეტეს 30 000 ლარისა (ნაცვლად 25 000 ლარისა).

პროგრამით განიხილება იმ პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსება, რომლებიც ნაწილობრივ დაფინანსებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით „მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში“.

პროგრამის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის დაცვა საზღვარგარეთ მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან. ამავე პროგრამით, ასევე ფინანსდება 18 წლამდე ასაკის ონკოჰემატოლოგიური დაავადების მქონე პაციენტების ძვირად ღირებული ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვა (100 000 ლარიდან - 210 000 ლარამდე) და გულის ტრანსპლანტაცია ორი პაციენტისათვის, თითეულ პაციენტზე 200 0000 - 200 000 ლარი.

მიმდინარე წელს ზემოთ აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი 1 410 000 ლარამდე გაიზარდა. 2021 წელს საზღვარგარეთ მკურნალობა 37 პაციენტს დაუფინანსდა.

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის შეხვედრა ჩეხურ არასამთავრობო ორგანიზაციასთან

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ირმა აფხაზავა ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაციის „ფიფლ ინ ნიდ“ საქართველოს ფილიალის წარმომადგენლებს დიონ ბათერსბის და სალომე ბაკაშვილს შეხვდა.

ჩეხური ორგანიზაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სოფლის განვითარების მიმართულებით მუშაობს. შეხვედრაზე განხილული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია და სამინისტროს მიზნობრივი პროგრამები, ასევე, მხარეებს შორის სოფლის განვითარების მიმართულებით მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობები.

„ფიფლ ინ ნიდ“ მუშაობს ახალ პროექტზე ხულოს მუნიციპალიტეტში მესაქონლეობის დარგის მხარდასაჭერად და ამ მიზნით სწავლობს მუნიციპალიტეტში დარგის პოტენციალს, ადგილობრივი ფერმერებისა და სასოფლო თემების საჭიროებებს.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ სამინისტროს აგრარული განვითარების დეპარტამენტის უფროსი ლევან ბოლქვაძე და პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსი უჩა სურმანიძე.

ბათუმის მერიაში ახალგაზრდული საბჭო იქმნება

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

ახალგაზრდების ხელშეწყობისთვის ბათუმის მერია საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვან პროგრამებს ახორციელებს. ბათუმის მერმა შეხვედრა გამართა ახალგაზრდებთან, რომელზეც ისაუბრა ახალგაზრდული პროგრამების განვითარებასა და ხელშეწყობაზე.

- ჩვენთვის პრიორიტეტულია, ახალგაზრდობის საჭიროებებიდან გამომდინარე, ისეთი პროგრამებისა და პროექტების მხარდაჭერა, რომლებიც მათი პოტენციალის ხელშეწყობასა და განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. აქედან გამომდინარე, გაჩნდა ინიციატივა, ბათუმის მერიაში შეგვექმნა ახალგაზრდული საბჭო, რომლის წევრებსაც საშუალება ექნებათ, ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებასა და განხორციელებაში. საბჭოს წევრები მაქსიმალურად გაითვალისწინებენ ახალგაზრდების ინტერესებს. დღეს იმ ახალგაზრდებს შევხვდი, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი და დაინტერესებულნი მერიის ახალგაზრდული პროგრამებით. ვისაუბრეთ სხვადასხვა მიმართულებასა და ქალაქის განვითარებაზე. გავაცანით ის სიახლეები, რომელთა განხორციელებაც უახლოეს პერიოდში სწორედ მათი მონაწილეობით დაიწყება, - აღნიშნა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

მორიგი შეხვედრა ხელვაჩაურის მერთან

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერმა ზაზა დიასამიძემ საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემაძესთან ერთად მოქალაქეების მორიგი მიღება გამართა.

მუნიციპალიტეტის მერმა ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები პირადად მოისმინა და გადაჭრის გზებზე მათთან ერთად იმსჯელა.

თემა ძირითადად, ინფრასტრუქტურულ და სოციალურ საკითხებს უკავშირდებოდა. მოქალაქეებთან შეხვედრის და უშუალო კომუნიკაციის შედეგად გამოიკვეთა ის საჭიროებები, რომლებიც მათთვის პრიორიტეტული და უმთავრესია. პრობლემების დროულად გადაჭრისთვის მერიის შესაბამისი სამსახურები კოორდინირებულად მუშაობენ.

შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ქარცივაძე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი მზევინარ გათენაძე, საპროექტო განყოფილების უფროსი ხვიჩა ბერიძე და ქონების მართვის განყოფილების უფროსი ანა ბაჟაშვილი.

მოქალაქეთა მიღება ყოველი კვირის პარასკევს დღის 12:00 საათიდან იწყება. შეხვედრა მიმდინარეობს კოვიდრეგულაციების სრული დაცვით.

ამბები

მუშაობა გაგრძელდება

ერთი წლის წინ, ადიდებულმა მდინარემ ბაქრაძისა და გოგოლის ქუჩების კვეთაში მდინარის ჯებირი მოშალა. დაზიანდა სახლები, რის გამოც ოთხი ოჯახი ქირით გაიყვანეს. დაზარალებული მოქალაქეების თქმით, ქირის საფასურს ბათუმის მერია კი იხდის, მაგრამ მათთვის მნიშვნელოვანია, ჯებირი გაკეთდეს და სახლები გამაგრდეს, რათა ოჯახებში დაბრუნდნენ და თავიანთ კარმიდამოს მიხედონ.

როგორც ბათუმის საკრებულოს წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ნაზი ფუტკარაძე ამბობს: „მოსახლეობას შეჰპირდნენ, რომ ჯებირს აღადგენდნენ. შარშან ჩატარდა ტენდერი, რომელშიც გაიმარჯვა შპს „ბონდმა“. ტენდერით, ჯებირის ასაგებად 670 ათას ლარამდე იყო გათვალისწინებული, სამუშაოები კი არ ჩატარებულა. მოსახლეობა გასულია საცხოვრებელი სახლიდან. ჩატანილია ერთი სახლის ნაწილი, სხვა სახლებსაც საფრთხე ემუქრება, ეკოლოგიურად ბინძურდება ზღვა, მდინარე. როგორც ამ ოლქის მაჟორიტარი, მოვითხოვ დროულ რეაგირებას.“

შპს „ბონდის“ დირექტორი მამუკა დოლიძე აცხადებს, რომ სამუშაოების დაწყებისას, მდინარეში ჩაყრილი სამშენებლო მასალები აღმოაჩინეს. ეკოლოგიური საფრთხის თავიდან ასაცილებლად და კვლევების ჩასატარებლად კომპანიამ მუშაობა შეწყვიტა.

ფაქტს გამოეხმაურა ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი. მისი თქმით, არსებული მდგომარეობა სტიქიურმა მოვლენებმა განაპირობა. ეკოლოგებთან კონსულტაცია უკვე გაიარეს და სამუშაოებს უახლოეს პერიოდში განაახლებენ.

„ბაქრაძის ქუჩაზე ჩვენ გვქონდა სტიქიური მოვლენების შედეგად გამოწვეული ზიანი. ამასთან დაკავშირებით, დაგეგმილი იყო სამუშაოები, გვაქვს პროექტიც. სამუშაოების მიმდინარეობისას სკრინინგის პროცედურების გავლის საჭიროება დადგა, რადგან იქ, გარემოს დაცვის კუთხით, კონკრეტული პრობლემა შეიქმნა. მიღებული გვაქვს რეკომენდაციები გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს და გარემოს დაცვის სამინისტროსგან. მივყვებით სკრინინგის პროცესს, რომელიც უახლოეს მომავალში დასრულდება და პროექტზე მუშაობა გაგრძელდება,“ - აღნიშნა არჩილ ჩიქოვანმა.

ანკა ჩხიკვაძე

მინსკის შეთანხმების შესრულება უკრაინისთვის ნიშნავს ტროას ცხენს საკუთარ სახელმწიფოში

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ცივი ომის რიტორიკა, სანქციების ომი, მინი სამხედრო ალიანსები და გამალებული შეიარაღება - ამ პროცესების მომსწრენი რომ ვიქნებით ახლო მომავალში, ამას ხაზს უსვამენ დასავლეთის ანალიტიკოსები. ეს მძაფრი დაპირისპირება უკვე სახეზეა, უკრაინა ამის თვალსაჩინო მაგალითია

მსოფლიო თვალს ადევნებს უკრაინასთან მიმართებით აშშ - რუსეთის ირიბ დაპირისპირებას. ცხადია, მათი ინტერესები მკვეთრად გადაიკვეთა, აშკარაა, რომ დღეს უკრაინაში გარკვეულწილად, წყდება მსოფლიოს მომავალი, სუპერსახელმწიფოები ხელების გადაწევის პროცესში იმყოფებიან. დიახ, ცხადია, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ვინ გაიმარჯვებს ამ დაპირისპირებაში. ექსპერტთა აზრით, უკრაინის მოვლენების შედეგად გადაწყდება მსოფლიო სახელმწიფოების ბედი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს დაპირისპირება უკრაინასთან მიმართებით რომ არ მომხდარიყო, სხვაგან მაინც მოხდებოდა, რადგან მსოფლიო მრავალპოლუსიანი გახდა. რუსეთისთვის უკრაინა კარგი საშუალებაა იმ გავლენის დასაბრუნებლად, რაც საბჭოთა კავშირის დროს ჰქონდა. ამ უკანასკნელის დაშლის შემდეგ რუსეთი იგნორირებული და გადასროლილი აღმოჩნდა განვითარებადი ქვეყნების სიაში, რომელთაც საერთაშორისო პოლიტიკაში არაფერი ესაქმება... მაგრამ პუტინმა სხვა რეალობის წინაშე დააყენა მსოფლიო. არადა, რუსეთს, აცხადებენ ექსპერტები, ყოველთვის სურდა, სტალინის დროიდან დაწყებული, მსოფლიო არენაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა და თავისი გავლენის გაძლიერება. აქედან გამომდინარე, კრემლის აგრესია გამოიწვია სწორედ მისი ინტერესების არგაზიარებამ - ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა რუსეთის გარეშე, რაც მის გაღიზიანებას იწვევდა. ამიტომაც დღეს დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობს ევრაზიის კონტინენტზე ახალი გეოპოლიტიკური გავლენების ჩამოსაყალიბებლად. ეს დიდად ზემოქმედებს საქართველოსა და უკრაინაზე, რომლებიც ცდილობენ ტრანსატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას და ამით რუსეთის მრავალსაუკუნოვანი გავლენის სფეროდან გამოსვლას, რასაც, ცხადია, მოსკოვის მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობა ხვდება. მოსკოვმა ქმედითი ნაბიჯები გადადგა, სწორედ ამის შესახებ საუბრობს პოლიტოლოგი გელა ირემაძე: „თავდაპირველად, საქართველოს მიმართ განახორციელა აგრესია რუსეთმა, რაზეც დასავლეთმა არასათანადო რეაგირება მოახდინა, ვგულისხმობ იმას, რომ რადიკალური სანქციები არ დაუწესა მოსკოვს. ამას მოჰყვა ყირიმის ანექსია, შემდეგ სირიის ომში ჩაერთო, ასადის რეჟიმს გაუხანგრძლივა მმართველობა, ასევე, ევროპულ და ამერიკულ არჩევნებში ფარული მონაწილეობა მიიღო, რომ არაფერი ვთქვათ კრემლისეულ პროპაგანდაზე, თუმცა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა (უკრაინის საზღვართან რუსეთის ასიათასიანი ჯარის მობილიზება და ულტიმატუმი კიევისადმი) დასავლეთი გამოაფხიზლა, ანუ თუ რუსეთი უკრაინას დაიმორჩილებს, ახალი საბჭოთა კავშირის მსგავსი გაერთიანების შექმნა გაადვილდება. დასავლეთი ამ საშიშროებას აანალიზებს და მოსკოვს მკაფიო მესიჯებს უგზავნის აგრესიის შემთხვევაში, რაც გულისხმობს რადიკალური სანქციების შემოღებას და სხვა ქმედით ნაბიჯებს, - დასძენს პოლიტოლოგი.

ჯერჯერობით მოსკოვის ულტიმატუმმა უკრაინის და დასავლეთის მიმართ არ გაჭრა, უფრო პირიქით - აშშ და ევროკავშირი აფრთხილებს რუსეთს, რომ აგრესიის შემთხვევაში მას რადიკალური სანქციები დაუწესდება, გარდა ამისა, შეჩერდება და სანქციები დაუწესდება პროექტს „ჩრდილოეთი ნაკადი 2“-ს, რაც მოსკოვისთვის კატასტროფა იქნება. სხვათა შორის, ამასწინათ ესპანურ გაზეთ „ელ პაისში“ გამოქვეყნდა ნატოს პასუხი რუსეთის ულტიმატუმზე, კერძოდ, ალიანსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით არ შეჩერდება და უკრაინის და საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ხელს ვერავინ შეუშლის“...

რუსეთი რეალურად განახორციელებს თუ არა აგრესიას უკრაინის მიმართ, ძნელი სათქმელია, თუმცა ერთი რამ ცხადია, რუსეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანია უკრაინაზე კონტროლის შენარჩუნება, ამას განაპირობებს ამ ქვეყნის გეოგრაფიული განლაგების, ზომის, ეკონომიკური და დემოგრაფიული „წონის“ კომბინაცია, რაც უკრაინის ზესტრატეგიულობას მკაფიოდ ადასტურებს. ექსპერტები ამ მხრივ, ძირითადად, ორ ფაქტორს გამოყოფენ.

მოსკოვი ცდილობს (რატომღაც ზოგი ევროპული ქვეყანაც იზიარებს კრემლის მოთხოვნას) უკრაინას მინსკის შეთანხმების შესრულება აიძულოს, აი, აქ მარხია ძაღლის თავი: ამ შეთანხმების შესრულება უკრაინისთვის მომაკვდინებელი იქნება. ამ დოკუმენტის თანახმად, დონეცკის ავტონომიურ ოლქს ეძლევა უკრაინის საგარეო პოლიტიკაში ჩარევის საშუალება, ანუ დონეცკის ოლქს შეეძლება, დაბლოკოს უკრაინის ნატოსთან დაახლოება

პირველი ფაქტორი: ევრაზიული კავშირის, როგორც პროექტის, ერთ-ერთი მთავარი მიზანია რუსეთის მიერ კონტროლის დამყარება პოსტსაბჭოთა ქვეყნების რესურსებზე, რადგან მხოლოდ რუსეთის ფედერაციის შიდა რესურსი აშკარად არასაკმარისია მოსკოვისთვის. მეტიც, რუსეთი იმყოფება ღრმა სისტემურ კრიზისში. ამ თვალსაზრისით, უკრაინის ეკონომიკურ და დემოგრაფიულ კურსს ზესტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. მეორე ფაქტორი: რუსეთისთვის უკრაინის მნიშვნელობის უმთავრესი ასპექტი გეოგრაფიულია, კერძოდ, გასასვლელი შავ ზღვაზე, რუსეთმა ეს პრობლემა ნაწილობრივ გადაჭრა. მოახდინა ყირიმის ანექსია, თუმცა, როგორც ვთქვით, თუ კრემლი ვერ შეძლებს სრულიად უკრაინის დამორჩილებას, მოსკოვის მიზანი (უკრაინის და საქართველოს საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევა) შეუსრულებელი იქნება.

ექსპერტები აცხადებენ, რომ მოსკოვი, ძირითადად, უკრაინის და დასავლეთის დაშანტაჟებას ცდილობს ომის სავარაუდო სცენარით. რა თქმა უნდა, კრემლისგან ყველაფერია მოსალოდნელი, თუმცა უკრაინის დაპყრობა არც ისე ადვილი იქნება, უკრაინული არმია 2014 წლისგან განსხვავებით, ახლა ძალიან ბრძოლისუნარიანია, თანაც დასავლეთმა უკრაინას ნატოს სტანდარტების შეიარაღება მიაწოდა. გარდა ამისა, პარტიზანული ომისთვისაც მოამზადა, ყოველ შემთხვევაში, ამას აცხადებენ სამხედრო ექსპერტები, მკითხველს იმასაც შევახსენებ, რომ მეორე მსოფლიო ომში (გერმანიის დამარცხების თვალსაზრისით) უკრაინელთა ღვაწლი საყოველთაოდ ცნობილია. ეს ძალიან კარგად იციან რუსეთში - მოსკოვი ცდილობს (რატომღაც ზოგი ევროპული ქვეყანაც იზიარებს კრემლის მოთხოვნას) უკრაინას მინსკის შეთანხმების შესრულება აიძულოს, აი, აქ მარხია ძაღლის თავი: ამ შეთანხმების შესრულება უკრაინისთვის მომაკვდინებელი იქნება. ამ დოკუმენტის თანახმად, დონეცკის ავტონომიურ ოლქს ეძლევა უკრაინის საგარეო პოლიტიკაში ჩარევის საშუალება, ანუ დონეცკის ოლქს შეეძლება, დაბლოკოს უკრაინის ნატოსთან დაახლოება, რაც პრაქტიკულად, ნიშნავს ტროას ცხენს საკუთარ ქვეყანაში, ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა ხელი მოაწერა იმ დროს, როცა რუსეთის არმიამ უკრაინის არმია ალყაში მოაქცია და განადგურებით დაემუქრა კიევს, რის გამოც იძულებული გახდა ასეთ დათმობაზე წასულიყო. ახლა სიტუაცია შეიცვალა, უკრაინა გაძლიერდა, თანაც რუსეთიც არ ასრულებს შეთანხმებას უკრაინასთან მიმართებით.

ვნახოთ, რამდენად ნაყოფიერად იმოქმედებს დასავლეთი რუსეთთან დაკავშირებით, რა შედეგს გამოიღებს ფსიქოლოგიური ზეწოლა უკრაინაზე და რამდენად რეალურად უპასუხებს აშშ და ევროკავშირი რუსეთის ულტიმატუმს და შანტაჟს. ცხადია, ამ კითხვებს ყველაზე უკეთ უახლოესი მომავალი გვაჩვენებს, რომელიც ნათლად წარმოაჩენს დასავლეთისა და რუსეთის რეალურ შესაძლებლობებს.

შეხვედრა ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატის სპიკერ ლინდსი ჰოილთან

„საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო. ჩემს კოლეგასთან მქონდა საუბარი იმ ურთიერთობაზე, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აკავშირებს საქართველოს და გაერთიანებულ სამეფოს. მიმდინარე წელს აღვნიშნავთ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენიდან 30 წელს. 1919 წელს გაერთიანებული სამეფო იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა. თემთა პალატის სპიკერთან ყურადღება გამახვილდა რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებზე, კერძოდ, უკრაინაში შექმნილ ვითარებასა და საქართველოს პარლამენტის მტკიცე მხარდაჭერაზე უკრაინის მიმართ, ასევე იმ რეზოლუციაზე, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო“, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა გაერთიანებული სამეფოს თემთა პალატის სპიკერ ლინდსი ჰოილთან გამართული შეხვედრის შემდეგ.

გაერთიანებული სამეფოს თემთა პალატის სპიკერის განცხადებით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან მნიშვნელოვანი და სასარგებლო შეხვედრა გაიმართა.

„დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დელეგაცია იმყოფება ჩვენთან სტუმრად. ჩემთვის დიდი პატივია, ვუმასპინძლო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და ვისაუბრო ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ მეგობრულ კავშირზე, რომელიც უკვე მრავალი წელია, გრძელდება. ვისაუბრეთ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც გვაერთიანებს - საფრთხეებსა და იმაზე, თუ როგორ შეიძლება ერთმანეთს დავეხმაროთ კარგი ურთიერთობების მეშვეობით. სწორედ ამიტომ ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო დღევანდელი შეხვედრა, სადაც მე კიდევ უფრო ბევრი შევიტყვე საქართველოს შესახებ და მომეცა შესაძლებლობა, ღიად და გულწრფელად გამეზიარებინა ჩემი მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ ვხედავ არსებულ მდგომარეობას ევროპაში“, - განაცხადა ლინდსი ჰოილმა.

უცხოეთი

„ემანუელ მაკრონის მოსკოვში ვიზიტი პოზიტიური სიგნალი და კარგი ინიციატივა იყო. ვფიქრობ, ის დაძაბულობის განმუხტვის ელემენტს წარმოადგენს. ემანუელ მაკრონის ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ სასწაული არ მოუხდენია,“ - განაცხადა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ჯოზეფ ბორელმა. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის ხელისუფლებისთვის მთავარია არა უკრაინა, არამედ ევროპაში უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის შექმნა. „რუსეთი უკრაინაზე ზეწოლას ახდენს, რათა მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდეს მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე - ნატოს გაფართოებასა და უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით მათ შეშფოთებებზე,“ - აღნიშნა ბორელმა.

* * *

აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველმა ჯეიკ სალივანმა ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან სატელეფონო საუბრისას განიხილა აშშ-ისა და ნატოს მზადყოფნის საკითხი რუსეთთან დიალოგის გასაგრძელებლად, რათა იპოვონ დიპლომატიური გზა დეესკალაციისკენ. „საუბრისას ხაზი გაუსვეს მოკავშირეების მზადყოფნას, დაიცვან ნატოს მოკავშირეების ტერიტორიები ნებისმიერი საფრთხისგან, მათ შორის აღმოსავლეთის ფლანგის გაძლიერებით რუსეთის პოტენციური აგრესიის საპასუხოდ“, - აღნიშნა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს პრესსპიკერმა ემილი ჰორნმა. მისი თქმით, სალივანმა და სტოლტენბერგმა ასევე აღნიშნეს საერთო შეშფოთება რუსეთის მიერ უკრაინის საზღვრის გასწვრივ ძალების მობილიზების თაობაზე და ხაზი გაუსვეს მათ ერთგულებას უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი.

* * *

„ჩვენი საერთო მიზანი ევროპაში ომის თავიდან აცილებაა. უკრაინის საზღვარზე რუსული ძალების განლაგება ძალზე შემაშფოთებელია და აღნიშნული ვითარების შესახებ ჩვენი შეფასებები მსგავსია“, - განაცხადა გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონსა და პოლონეთის პრეზიდენტ ანდჟეი დუდასთან შეხვედრის შემდეგ. მისი თქმით, „უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დარღვევა მიუღებელია და ამას შორსმიმავალი შედეგები ექნება პოლიტიკურად, ეკონომიკურად და, რა თქმა უნდა, გეოსტრატეგიულადაც“. პოლონეთის პრეზიდენტმა ანდჯეი დუდამ ხაზი გაუსვა, რომ გერმანია, პოლონეთი და საფრანგეთი არ შეაჩერებენ ძალისხმევას მოსკოვსა და კიევს შორის დაძაბულობის დეესკალაციისთვის.

* * *

ირანის ისლამური რევოლუციის გვარდიის კორპუსმა ახალი რაკეტა წარადგინა, რომლის დაფარვის რადიუსი 450 კილომეტრია, - ინფორმაციას ადგილობრივი სააგენტო თასნიმ-ი ავრცელებს. მისივე ცნობით, „ხეიბარშეკანის“ რაკეტას შეუძლია სამიზნეებს 1450 კილომეტრის მანძილზე „მაღალი სიზუსტით დაარტყას“. რაკეტა ირანის რევოლუციური გვარდიის სარაკეტო ბაზაზე სამხედრო მაღალჩინოსნების ვიზიტისასა წარადგინეს.

ვახტანგ კალოიანი: საკმაოდ კრიტიკული იქნება შემდეგი კვირა, რადგან იწყება ინფიცირებულების დამძიმების პერიოდი

აიცერი და ჩაგერიცხება: ერთ თვეში ბუსტერ დოზით 50 წელს ზემოთ ასაკის 17 850 მოქალაქე აიცრა

ხატია იაშვილი 591 98 24 26

ინფიცირების ყოველდღიური მაჩვენებლის ზრდის მიუხედავად, ქვეყანაში ახალი შეზღუდვების შემოღება არ იგეგმება, - განაცხადა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ

საქართველო ომიკრონის შტამისგან გამოწვეული კორონავირუსის პანდემიის მეექვსე ტალღას ებრძვის. ომიკრონის პირველი შემთხვევა შარშან - 20 დეკემბერს გამოვლინდა. სწორედ მასთანაა დაკავშირებული ქვეყანაში ინფიცირების შემთხვევების მზარდი ანტირეკორდები.

„არავითარი შეზღუდვები არ იქნება. საკოორდინაციო საბჭოს მთავარი მოწოდებაა ვაქცინაცია, რადგან აცრა ინფექციას აკავებს. ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ბუსტერიზაცია“. რაც მეტი ადამიანი გაიკეთებს ბუსტერ დოზას, მით უფრო კარგად გავუმკლავდებით პანდემიას და ნაკლები დანაკარგი გვექნება“, - განაცხადა გამყრელიძემ. მისი თქმით, ამ დროისათვის მოსახლეობის მხოლოდ 6,4%-ია კორონავირუსის საწინააღმდეგო მესამე დოზით აცრილი, რაც დაბალი მაჩვენებელია, რადგან პანდემიის დასრულების გზა იმუნიზაციაზე გადის.

3 თებერვალს იმუნიზაციის საბჭომ მოსახლეობის იმუნიზაციის ეროვნული გეგმა დაამტკიცა, რომლის თანახმად ივლისამდე ქვეყანაში მოსახლეობის 70% უნდა იყოს ვაქცინირებული.

ინფიცირებულთა რაოდენობით აჭარა, დედაქალაქის შემდეგ, მეორე ადგილზეა.

„ბოლო კვლევები მიუთითებს, რომ ომიკრონის შემთხვევაში ჩვეულებრივი ქირურგიული ნიღაბი 60%-ით იცავს, ე. წ. რესპირატორი N95-ის დაცვის მაჩვენებელი კი 85%-მდეა. თუ გვინდა, რომ ნიღბის საშუალებით ვიყოთ დაცული, უმჯობესია, გამოვიყენოთ „რესპირატორი“. მისი გამოყენება უფრო ხანგრძლივად არის შესაძლებელი, 2-3 დღეც“, - განაცხადა იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორმა ივანე ჩხაიძემ.

მისი თქმით, დღეისათვის ომიკრონი განიხილება როგორც ყველაზე მაღალი რეინფიცირებისა და გავრცელების უნარის მქონე ვირუსი. როგორც ჩხაიძემ აღნიშნა, სავარაუდოდ, ქვეყანაში რეინფიცირების 10 997 შემთხვევაა მაშინ, როცა პანდემიის დასაწყისში, როდესაც ვირუსის ჩინური ვარიანტი ცირკულირებდა, მსოფლიოში დაფიქსირებული იყო 114 შემთხვევა.

ჯანდაცვის საკითხებში ექსპერტი, პროფესორი დევი ტაბიძე მიიჩნევს, რომ ქვეყანა ომიკრონის გავრცელების პიკურ პერიოდში იმყოფება, ინფიცირების მაჩვენებელი კი დაახლოებით ორი კვირის შემდეგ დაიწყებს კლებას. პანდემიის დაწყებიდან დღემდე დაფიქსირებულია ინფიცირების 1,3 მილიონზე მეტი შემთხვევა, გარდაცვლილთა რაოდენობამ კი 15 ათასს გადააჭარბა. როგორც ტაბიძემ განაცხადა, ინფიცირებულების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, ჯანდაცვის სექტორს გაუჭირდება. ამ ეტაპზე სამედიცინო პერსონალის ძალიან დიდი რაოდენობაა ინფიცირებული და ადამიანური რესურსი სწორად უნდა გადანაწილდეს.

სპეციალისტის განმარტებით, მოსახლეობამ ვირუსებთან ერთად თანაცხოვრება უნდა ისწავლოს, ნიღბის ტარებას, სოციალური დისტანციის დაცვასა და ვაქცინაციას კი კვლავ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს: „რაც შეეხება ნიღაბს, ნიღბის ტარებაზეც კი პრეტენზიაა, არათუ ვაქცინაციაზე, რომელიც გადარჩენის ერთადერთი გზაა. ნიღბის ტარება სულ მცირე, ერთი წელი მაინც მოგვიწევს. რეალურად, ნიღაბი და სოციალური დისტანცია არის ასეთი ტიპის ვირუსების ერთადერთი საკონტროლო და გადარჩენის გზა. ინფიცირებული ადამიანების რეალური რაოდენობა გაცილებით დიდია, რადგან ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახში რამდენიმე წევრია სიმპტომიანი, თუმცა მხოლოდ ერთი იკეთებს ტესტირებას. ეს ძალიან დიდ აცდენას გვაძლევს სტატისტიკურ მონაცემებში. ასეთი ტიპის ოჯახების არსებობა ადასტურებს, რომ შემთხვევები არის ერთი ოთხზე. ანუ, თუ ვამბობთ, რომ დაინფიცირებული არის 25 ათასი, გვაქვს რეალური შემთხვევა 100 ათასი, რომელიც ბინაზე მკურნალობს“, - ამბობს დევი ტაბიძე.

ამ საკითხზე გთავაზობთ ინტერვიუს სამედიცინო ექსპერტ ***ვახტანგ კალოიანთან.***

- იანვარში გაცილებით მეტია რეინფიცირების შემთხვევა. დელტა შტამის გადატანის შემთხვევაში რამდენად დაცულია ადამიანი ომიკრონისგან?

- დელტა შტამისგან გამომუშავებული ბუნებრივი დაცვის უნარი ვაქცინის მიერ გამომუშავებულზე ბევრად ნაკლებია, მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება ომიკრონისგან დაცვას. სამწუხაროდ, შემთხვევათა მეოთხედში, ზოგიერთი კვლევით კი მესამედშიც, დელტა შტამის გადატანის მიუხედავად, ჩვენ ვხვდებით რეინფიცირებას. ახლა კიდევ გაჟღერდა ინფორმაცია, გადატანილი ომიკრონის შემდეგ, კიდევ ერთხელ ომიკრონის სხვა შტამით ინფიცირების შესახებ, თუმცა აქ საუბარია ბუნებრივ იმუნიტეტზე. მძიმე მიმდინარეობასა და კრიტიკულ შემთხვევებთან მიმართებაში, ბევრად უფრო მდგრადი დაცვა აქვს მხოლოდ და მხოლოდ ვაქცინაციას.

- თუკი გადატანილი მაქვს, რამდენ ხანს შემიძლია ვიგრძნო თავი დაცულად?

- ამის თქმა ძალიან რთულია, რადგან ყველა ახალი შტამი ავლენს თავისებურ ბუნებას. დაახლოებით, ერთი თვე შეიძლება ვიგრძნოთ თავი შედარებით დაცულად, იქნებ შემდეგაც არ დაგემართოთ, ეს უკვე ინდივიდუალურია, მაგრამ რეინფიცირების შანსი ერთი თვის შემდეგ აშკარად მატულობს.

- ზოგი ექსპერტი აცხადებს, რომ პიკი ჯერ არ არის, ზოგი ამტკიცებს, რომ მეექვსე ტალღამ უკვე პიკს მიაღწია... რა მოხდება, თუკი ვაქცინაციის ტემპი არ მოიმატებს?

- მოხდება ის, რაც ჩვენთან ხდება, სამწუხაროდ, გვყავს ბევრი ინფიცირებული, არცთუ ცოტა - მძიმე პაციენტი. ჯერ კიდევ არის ადგილები ჰოსპიტალურ სექტორში, მაგრამ ისე სწრაფად მატულობს ინფიცირებულთა რაოდენობა, რომ არ არის გამორიცხული, საავადმყოფოებმა ვეღარ მიიღონ მძიმე პაციენტებიც კი. ახლა 6000 საწოლია დაკავებული, მაშინ როდესაც, ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ 5000 იყო. ექსპერტების პროგნოზით, საკმაოდ კრიტიკული იქნება შემდეგი კვირა - დაიწყება ინფიცირებულების დამძიმების პერიოდი, რომლებიც დასნებოვდნენ რამდენიმე დღის წინ. შესაბამისად, ეს კვირა იქნება ძალიან რთული. ამის გამო, მნიშვნელოვანია პირველადი ჯანდაცვის რგოლის გამართული მუშაობა, რათა დროული ჩარევით, კონსულტაციით ან, თუ გნებავთ, დროული ჰოსპიტალიზაციით, თავიდან ავიცილოთ მძიმე მიმდინარეობა.

- როდის დაიკლებს შემთხვევათა რაოდენობა?

- იმედი გვაქვს, უკვე თებერვლის მეორე ნახევარში დაიწყება ომიკრონის შემთხვევების კლება. ამას ვამბობთ იმ მათემატიკური გათვლების მოდელირების საფუძველზე, რომელიც გაგვაჩნია და იმ ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომლებმაც გადაიტანეს ომიკრონის ტალღა. 3-4-კვირიანი ზრდის შემდეგ იწყება ინფიცირებულთა რაოდენობის გარკვეული შემცირება, თუმცა ძირითადი გამოცდილება მაინც აცრილ პოპულაციაში გვაქვს. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის გამოცდილებაა საკმაოდ სარწმუნო და კარგი, თუმცა იქ მოქალაქეების უმეტესობა აცრილია და ინფიცირების მიმდინარეობაც - განსხვავებული.

- გარდაცვლილთა რაოდენობაც ისევ დიდია. ამას ომიკრონი იწვევს თუ დელტა შტამი?

- დელტას კომპონენტიც მაღალია, თუმცა ომიკრონიც იწვევს ლეტალურ გამოსავალს. ერთგვარად გავრცელდა, რომ ეს უკანასკნელი ნაკლებად საშიშია და იოლი მიმდინარეობით გამოირჩევა. თუ პროცენტულ მაჩვენებლებში განვიხილავთ, მართლაც ასეა, ბევრად მსუბუქად გადააქვთ ინფიცირება, თუმცა მთლიანად ინფიცირებულთა ციფრებიდან თუ გამოვალთ, სიკვდილიანობა გაცილებით მაღალია, ვიდრე დელტას დროს.

- ანუ ომიკრონი არც ისე უვნებელია, როგორც ანტივაქსერები ამტკიცებენ?

- რა თქმა უნდა, ისიც კორონის შტამია, აქედან გამომდინარე - ყველა ცუდი შედეგით. უბრალოდ, ითქვა, რომ ძალიან სწრაფად ვრცელდება და ბევრ შემთხვევაში არ მიმდინარეობს მძიმედ, მაგრამ ისევ ვიმეორებ, თუკი ათასში ასს მძიმედ განუვითარდა, მილიონში ეს ასი რამდენჯერ მეტია, თავადაც ხვდებით.

- ბევრი იმასაც ამტკიცებს, რიგითი გრიპიაო...

- გრიპია კორონაც, მაგრამ რიგითი გრიპისგან განსხვავებით, ხედავთ, რა შედეგებიც აქვს. აქედან გამომდინარე, ომიკრონზეც ვერ ვიტყვით ამას.

- ამ ეტაპზე ძალიან ბევრი მედიკოსია აუცრელი. საუბარია, მათთვის სავალდებულო გახდეს ვაქცინაცია.

- აუცრელია როგორც ექიმების, ისე მედდების და უმცროსი და ტექნიკური პერსონალის 20 პროცენტი. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცუდია. მნიშვნელოვანია მათთვის კიდევ ერთი საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიის ჩატარება, იმის მიუხედავად, რომ ჩვენი კოლეგები არიან. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც უახლოეს წარსულში გადაიტანეს კორონა და არ ეკუთვნით ვაქცინაცია. მათი ციფრიც მაღალია. თუმცა აუცრელთა და კოვიდგადატანის გარეშე დარჩენილთა პროცენტული მაჩვენებელი მაინც მაღალია. რაც შეეხება სავალდებულო ვაქცინაციას, ჩვენ ყოველთვის მომხრე ვიყავით ან სავალდებულო ვაქცინაციის ან სავალდებულო ტესტირების. ის პროტოკოლი, რაც გვაქვს სამედიცინო პერსონალის მიმართ, საკმაოდ მოუქნელია. ორ კვირაში ერთხელ - საკმარისი არ არის. ტესტირების სიხშირე უნდა გაიზარდოს, მაგრამ ტექნიკურად ქვეყანამ ვერ მოახერხა, რომ მნიშვნელოვნად გაეზარდა მოცულობები. 78 ათასი ტესტი დღეში, ეს არის ჩვენი მაქსიმუმი, რაც, სამწუხაროდ, ცუდ გავლენას ახდენს ეპიდემიის მართვაზე.

- სოციალურ ქსელში გახშირდა მშობლების საუბარი იმაზე, რომ სკოლები სრულად უნდა გადავიდნენ დისტანციურ სწავლებაზე. თქვენი აზრით, რამდენად საშიშია ეპიდვითარება პატარებისთვის?

- ამის საჭიროებას ვერ ვხედავთ, მაგრამ აუცილებელია გახშირდეს როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების ტესტირების ინტენსიობა. ამას ემატება კიდევ პირადი ჰიგიენის დაცვა და ჯანმოს სხვა რეკომენდაციების შესრულება, დეზინფექტანტების გამოყენება და სხვა, რის შედეგადაც სკოლები თავსუფლად შეძლებენ მუშაობას ჩვეულ რეჟიმში. ამ ეტაპზე სკოლებში გვაქვს ინფიცირების 6%, რომლის გამოც არ ღირს, ბავშვები მოვწყვიტოთ სწავლის ნორმალურ რეჟიმს.

- გაუქმდა „მწვანე პასპორტები“. რას იტყვით ამაზე?

- ის შემოღებისთანავე იყო სუსტი მექანიზმი ვაქცინაციის ტემპის ასამაღლებლად. იგი უნდა ასახავდეს პიროვნების ვაქცინაციას, მაგრამ თუკი მას ან მეზობელს გადატანილი ჰქონდა კორონა, აძლევდნენ ამ პასპორტს გადამოწმების გარეშე. თანაც, ომიკრონის გამოჩენასთან ერთად, საერთოდ დაკარგა რელევანტობა. როგორც აღვნიშნე, გადატანილი დელტა შტამი არ იძლევა გარანტიას, რომ არ დაინფიცირდები ომიკრონით.

> ***„ახლა კიდევ გაჟღერდა ინფორმაცია, გადატანილი ომიკრონის შემდეგ, კიდევ ერთხელ ომიკრონის სხვა შტამით ინფიცირების შესახებ, თუმცა აქ საუბარია ბუნებრივ იმუნიტეტზე. მძიმე მიმდინარეობასა და კრიტიკულ შემთხვევებთან მიმართებაში, ბევრად უფრო მდგრადი დაცვა აქვს მხოლოდ და მხოლოდ ვაქცინაციას***

> ***„ნიღბის ტარებაზეც კი პრეტენზიაა, არათუ ვაქცინაციაზე, რომელიც გადარჩენის ერთადერთი გზაა. ნიღბის ტარება, სულ მცირე, ერთი წელი მაინც მოგვიწევს. რეალურად, ნიღაბი და სოციალური დისტანცია არის ასეთი ტიპის ვირუსების ერთადერთი საკონტროლო და გადარჩენის გზა***

ესპანეთი ბულგარეთში ოთხ სამხედრო თვითმფრინავსა და 130 ჯარისკაცს გაგზავნის

Reuters-ის ინფორმაციით, ამის შესახებ ბულგარეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა. მისივე ინფორმაციით, პირველი ესპანური Eurofighter ტიპის ავიაგამანადგურებლები ბულგარეთში, სავარაუდოდ, კვირის ბოლომდე დაეშვება და საჰაერო სივრცის დაცვის მოვალეობებს ბულგარეთის საჰაერო ძალებთან ერთად მარტის ბოლომდე შეასრულებს.

„მისია ითვალისწინებს ზომებს, რომლებიც მიმართულია აღმოსავლეთ ფლანგზე ნატოს წევრი ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“, - აცხადებენ სამინისტროში.

გავრცელებული ინფორმაციით, აპრილსა და მაისში ნიდერლანდები ბულგარეთში, საჰაერო სივრცის პატრულირებაში მონაწილეობისთვის, F-35 ტიპის ორ თვითმფრინავს განათავსებს. ბულგარეთი, რომელიც 2004 წლიდან ნატოს წევრია, 1 000-მდე ჯარისკაცისგან შემდგარი სამხედრო ჯგუფის შექმნას გეგმავს, რომელიც ბულგარეთის მეთაურობით და ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობით იმოქმედებს. მის შემადგენლობაში იქნებიან ჯარისკაცები ნატოს მოკავშირე სხვადასხვა ქვეყნიდან.

სასიკეთო ცვლილება – ლარი მყარდება... მაგრამ როდის აისახება ეს ფასებზე?

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ლარი გამყარებას განაგრძობს, ეროვნული ვალუტა კოვიდ-19-ის პანდემიამდე პერიოდის ნიშნულს უბრუნდება. ცხადია, საინტერესოა, რამ გამოიწვია ეს სასიკეთო ცვლილება, როგორია მოკლე და საშუალო პერიოდში ეროვნული ვალუტის პერსპექტივა და როდის აისახება ლარის გამყარება ფასებზე?

- ეროვნული ვალუტის - ლარის დოლართან მიმართ გამყარების მიზეზი გარე ფაქტორები გახდა, მათ შორის, ექსპორტის გაზრდა, ფულადი გადმორიცხვები და ტურიზმის აღდგენა, - განაცხადა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ.

ლარის კურსმა გამყარება თებერვლის დასაწყისიდან დაიწყო. უკვე 4 თებერვალს ეროვნულმა ბანკმა ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 3 GEL/$1 ნიშნულზე ქვევით დაადგინა. გაცვლითი კურსი 9 თებერვალს არის 2,92 GEL/$1.

კობა გვენეტაძის თქმით, ეროვნული ვალუტის ბოლოდროინდელი გამყარება უკავშირდება გარე სექტორის გაუმჯობესებას, რომელიც გულისხმობს პროდუქციის ექსპორტს, საზღვარგარეთიდან გადმორიცხვების ზრდას და საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლების ნაწილობრივ აღდგენას.

რეგულატორის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებით იზრდება უცხოელების ინტერესი ფასიანი ქაღალდებისადმი ლარში, რადგანაც მაკროეკონომიკურ მართვაში ეკონომიკური გუნდის კარგი გამოცდილების წყალობით, ლარში დეპოზიტებზე მოთხოვნა გაიზარდა.

- უფრო მოკლედ რომ ვთქვა, მთავარი ეკონომიკური ფაქტორები როდესაც გაუარესდა, ლარიც გაუფასურდა და როდესაც ფუნდამენტური ფაქტორები გაუმჯობესდა, ლარი ამასაც ასახავს, - განაცხადა გვენეტაძემ. ამასთან, მან აღნიშნა, რომ ლარის გამყარების გამო მოსალოდნელია ფასების შემცირება.

- იქიდან გამომდინარე, რომ ლარის გაცვლითი კურსი გამყარებულია, შეუძლებელია, რომ არ აისახოს ფასებზე, - დაგვაიმედა მან.

ლარის გამყარების საკითხს სხვადასხვანაირად აფასებენ სახელისუფლო გუნდსა და ოპოზიციაში. მმართველ პარტიას მიაჩნია, რომ ეს სწორი სტრატეგიული მიმართულებების გატარებით აიხსნება, ხოლო ოპოზიცია ფიქრობს, რომ ლარის გამყარება როგორც მთავრობის მიერ აღებული ვალების, ასევე ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგია.

- ლარის კურსის გამყარებასთან დაკავშირებით, ძალიან ბევრი კომპლექსური

ნაბიჯი გადაიდგა. მოგეხსენებათ, ეროვნული ბანკის ერთ-ერთი საზედამხედველო ფუნქცია უკავშირდება ფულადი მიმოქცევების სწორ რეგულირებას. ამის გათ-

ვალისწინებით, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შენარჩუნებაა. როგორც წესი, ახალი წლის შემდგომ პერიოდში ყოველთვის იზრდება ფულადი გზავნილები, რომელიც უცხოეთიდან შემოედინება უცხოური ვალუტის სახით. ეს, თავის მხრივ, გარკვეულწილად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლარის კურსზე. ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პანდემიის პერიოდში სახელმწიფოს სწორი პოლიტიკა, რომლის ხარჯზეც არცერთი დიდი პროექტი არ შეჩერებულა. ამანაც გარკვეული წვლილი შეიტანა ლარის კურსის გამყარებაში. ვფიქრობ, იმ სტრატეგიული მიმართულებით, რომელსაც სახელმწიფო წარმართავს, შესაძლებელია კიდევ გამყარდეს ლარის კურსი და შემდგომ ეს, რა თქმა უნდა, აისახება ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. ცხადია, როდესაც უფასურდება ეროვნული ვალუტა, ეს აისახება პროდუქტების

> ***„ ვფიქრობ, იმ სტრატეგიული მიმართულებით, რომელსაც სახელმწიფო წარმართავს, შესაძლებელია კიდევ გამყარდეს ლარის კურსი და შემდგომ ეს, რა თქმა უნდა, აისახება ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. ცხადია, როდესაც უფასურდება ეროვნული ვალუტა, ეს აისახება პროდუქტების ღირებულებაზეც***

ღირებულებაზეც, თუმცა მათი ფასების მატებაზე, ინფლაციურ პრობლემებთან ერთად, საწვავზე ფასების ზრდაც მოქმედებს, რასაც, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვარეგულირებთ. ნავთობის ფიქსირებული ფასები გამომდინარეობს მსოფლიო სანავთობო ბირჟებიდან, თუმცა, თუკი ჩვენ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლარის კურსი დასტაბილურდა და ტენდენცია შენარჩუნებისკენ მიდის, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეს ტენდენცია შენარჩუნდება და სასურსათო პროდუქციაზე ფასები ნელ-ნელა დაიწყებს კლებას. თქვენ იცით, რომ ჩვენ არ ვართ

> ***„ ინფლაციასთან მიმართებით ერთ-ერთი ფაქტორი შეიძლება იყოს ფასების ზრდის ხარჯზე ლარის გამყარება, მაგრამ ამის მტკიცებითი ფორმით თქმა რთულია. როცა ქვეყანაში მაღალი ინფლაცია გვაქვს, რთულია დადებითი მოლოდინები გვქონდეს***

ძალიან ბევრი პროდუქტის მწარმოებელი, შესაბამისად, მარაგები, რომელიც შემოტანილია განსაზღვრულ ფასად, ვერ გაიაფდება მის სრულ რეალიზაციამდე. ასე რომ, კომპანიებმა, იმპორტიორებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ სამომავლოდ შეძენილი პროდუქცია დახლებზე აღმოჩნდეს შედარებით უფრო იაფად, - გვითხრა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ტიტე არუშიძემ.**

- ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლარის გამყარება რამდენიმე ფაქტორით შეიძლება აიხსნას, ეს შესაძლებელია როგორც ექსპორტის ზრდით, ასევე, ფულადი გზავნილებით იყოს გამოწვეული. როგორც იცით, ფულადი გზავნილები გაიზარდა, ეს რამდენად კარგია ან ცუდია, სხვა საკითხია, თუმცა ერთ-ერთი ფაქტორია, რამაც გამოიწვია ლარის გამყარება, მან დასტაბილურება დაიწყო. რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის მთავრობის მიერ აღებული ვალები და ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული მკაცრი მონეტარული პოლიტიკა. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე ლარი გამყარებას განაგრძობს. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ ბანკს უკეთესობის მოლოდინებიც აქვს, გასათვალისწინებელია, რომ ხშირად ერთს ამბობდა, მაგრამ მეორე ხდებოდა. ამიტომ რთულია პროგნოზების გაკეთება. ინფლაციასთან მიმართებით ერთ-ერთი ფაქტორი შეიძლება იყოს ფასების ზრდის ხარჯზე ლარის გამყარება, მაგრამ ამის მტკიცებითი ფორმით თქმა რთულია. როცა ქვეყანაში მაღალი ინფლაცია გვაქვს, რთულია დადებითი მოლოდინები გვქონდეს, მაგრამ ეროვნული ბანკი ამბობს, რომ დაახლოებით აპრილიდან დაიწყება ინფლაციის ტემპის შემცირება და წლის ბოლოს უკვე მიზნობრივ მაჩვენებელს მიუახლოვდება, თუმცა აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინფლაციის ტემპის შემცირება არ ნიშნავს ფასების კლებას, უბრალოდ, შემცირდება ფასების მატება, თუმცა ნავთობის იმპორტიორი კომპანიები პირიქით - ზრდას ვარაუდობენ. როგორც უკვე ვთქვი, ერთ-ერთი ფაქტორი უცხოეთიდან გზავნილებია. ეს, რა თქმა უნდ, ცუდია, რადგან ამით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყოველწლიურად მასშტაბური მიგრაციაა ქვეყანაში, ჩვენგან მიდის შრომისუნარიანი მოსახლეობა. ეს, ბუნებრივია, კარგად არ აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს იქნება ცუდი, მიუხედავად იმისა, რომ მოკლევადიანში შეიძლება იყოს კარგი. ლარის დასტაბილურება იმპორტიორი კომპანიებისთვის არცთუ ისე ხელსაყრელია, ლარის კურსი დოლართან მიმართებაში მყარდება, ამის პარალელურად კი ამ კომპანიების მოგება მცირდება, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში „ლელოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრმა, ეკონომისტმა **არჩილ ბერიძემ.**

მთა

რეაბილიტირებული ბაგა-ბაღი - ნიგაზეულში

ნიგაზეული მოსახლეობის რაოდენობით შუახევის მუნიციპალიტეტში გამორჩეული სოფელია. იქ საბავშვო ბაღი 14 წლის წინ გაიხსნა, რომელსაც საჭარო სკოლის შენობის ნაწილი დაეთმო

ბაღის ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან, პერსონალი და აღსაზრდელების მშობლები ფართობის სიმცირეს უჩივიან. იყო შეპირება, რომ საბავშვო ბაღის ახალ შენობას აგებდნენ, თუმცა დღემდე ვერ მოხერხდა რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხების მობილიზება.

შუახევის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ «შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების» ხელმძღვანელობამ 10 ათას ლარზე მეტი თანხა გამოყო არსებული ბაღის შესაკეთებლად.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, ნიგაზეულელთა მაჟორიტარი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძე სკოლამდელ დაწესებულებას ესტუმრნენ, დაათვალიერეს შესრულებული სამუშაოები, შეხვდნენ ბაგა-ბაღის პერსონალს.

- გახსნის დღიდან ფართობის სიმცირე გვაწუხებს, - გვითხრა ნიგაზეულის ბაგა-ბაღის მენეჯერმა მარინა კეკელიძემ, - სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, სამუშაო პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა ტიპური შენობის უქონლობა გარკვეულ სირთულეებს ისევ გვიქმნის. იმედია, შესაბამისი ორგანოები დახმარებას გაგვიწევენ.

«აჭარამ» კომენტარი როსტომ ლორთქიფანიძესაც სთხოვა: «ნიგაზეული იმ სოფლების ჩამონათვალშია, სადაც პატარების საკმაო რაოდენობაა. აქ საბავშვო ბაღის გახსნა აუცილებელია. თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ არსებული ფართობი ვერ აკმაყოფილებს ბაგა-ბაღის მოთხოვნებს. შუახევში სკოლამდელი დაწესებულებების უმრავლესობა ტიპურ შენობებშია განთავსებული, დღვანსა და მახალაკიძეებში ახალ ბაღებს ვაშენებთ. სამომავლოდ ნიგაზეულელი დედებისა და შვილების ინტერესებსაც გავითვალისწინებთ».

სამედიცინო პერსონალს ემადლიერებიან

უხვნალექიანი და ცივი ზამთარი აჭარის მთიანეთის მოსახლეობას მკაცრი გამოწვევების წინაშე აყენებს

თვეზე მეტია შუახევი-შუბნის, შუახევი-წყალსაყარი-ნაღვარევის, შუახევი-უჩამბის სოფლებში მისასვლელი საავტომობილო გზები თოვლის საფარისგან იწმინდება. მექანიზატორები საქმეს მორჩებიან თუ არა, ისევ უხვად მოთოვს, თოვლისგან ივსება ის ხელოვნური «გვირაბები», რომელთა სიმაღლე რიგ სოფლებში უკვე სამ მეტრს აღწევს.

მეგზაურებთან ერთად, საქმე გაურთულდათ მედიცინის მუშაკებს. სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი სოფლებიდან კოვიდით დაინფიცირებული პაციენტების გადმოყვანას ვერ აუდის. რიგი სოფლებიდან ავადმყოფები ციგითაც გადმოჰყავთ. მათ მექანიზატორები ტექნიკითაც ეხმარებიან. ასეთი შემთხვევები იყო წაბლანაში, ბუთურაულში, ვანში, ფურტიოში, ჯაბნიძეებში.

შუახევში 12 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი და 36 თემის სამედიცინო პუნქტი მოქმედებს. პერსონალი მკაცრი და უხვთოვლიანი ზამთრის პირობებში პაციენტებს დახმარებას, პროგრამით გათვალისწინებულ სამედიცინო მომსახურებას არ აკლებს. მოსახლეობა ემადლიერება ბარათაულის, ჭვანის, ხიჭაურის, ზამლეთის, ოლადაურის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ექიმებს გურამ ქარცივაძეს, მაგული დავითაძეს, ბადრი მამულაძეს, პავლე მჟავანაძეს, მაია ბოლქვაძეს, ასევე ნაღვარევის, ხაბელაშვილების, წყაროთის, გომარდულის, ფურტიოს თემის სამედიცინო პუნქტების ექთნებს.

შუახევის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები სამედიცინო პერსონალს ყურადღებასა და თანადგომას არ აკლებენ.

- ჭვანის ხეობაში მოსახლეობასთან შეხვედრები გავმართეთ. მაჟორიტარ მალხაზ ტაკიძესთან ერთად ჭვანისა და ხიჭაურის პირველადი ჯანდაცვის ცენტრებსაც ვეწვიეთ. პანდემიისა და სტიქიის შემოტევას სამედიცინო პერსონალი ორგანიზებულ მუშაობას უპირისპირებს, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ.

მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

აკადემიკოსი ვანო პაპუნიძე

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

დიდ მეცნიერს, ჭეშმარიტ ინტელიგენტს, საუკეთესო პიროვნული თვისებებით უხვად დაჯილდოებულ, ქართული აგრობიოლოგიური და აგროსატყეო ეკოლოგიური მეცნიერების ბრწყინვალე წარმომადგენელს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიკოსს, მრავალი მეცნიერული ნაშრომის, ქართული ორიგინალური წიგნების ავტორს, ახალგაზრდა თაობის უანგარო აღმზრდელს, საქართველოს დამსახურებულ მეტყევეს, ღირსების ორდენოსან ***ვანო პაპუნიძეს*** *10 თებერვალს 82 წელი შეუსრულდება. 2020 წლის 15 ივლისს, მისი დაბადების საიუბილეო 80 წლისთავზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებაზე ვანო პაპუნიძე აირჩიეს აკადემიის ნამდვილ წევრად - აკადემიკოსად. ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და ჩვენი გაზეთის გამოცემის დროებით შეჩერების გამო, მისი დაბადების მეოთხმოცე წლისთავზე, არ მოგვეცა საშუალება, საიუბილეო თარიღს გამოვხმაურებოდით, რისი გამოსწორებაც ახლა ვცადეთ...*

- ბატონო ვანო, როგორც „აჭარის“ დიდი ხნის მეგობარს და მრავალი პუბლიკაციის ავტორს, გაზეთის შემოქმედებითი გუნდი გულითადად გილოცავთ დაბადების 82, სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წლისთავს და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად - აკადემიკოსად არჩევას. ამ გადასახედიდან, როგორ წარმოგიდგენიათ განვლილი წლები, თავიდან დაწყება რომ შეგეძლოთ, შეცვლიდით რამეს?

- პირველ რიგში, მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ ჩემდამი გამოხატული პატივისათვის, მოლოცვისთვის. ცხოვრებაში რამდენიმე სწორი გადაწყვეტილება მივიღე, მათ შორის, სპეციალობის არჩევაში. 1960 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. იმ დღიდან მოყოლებული, ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობის გზაზე არაფერს შევცვლიდი.

- გვიამბეთ განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპების შესახებ...

- დავიბადე ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში. ქედის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ვმუშაობდი სოფელ ქედის კოლმეურნეობაში რიგით წევრად. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, სატყეო მეურნეობის ინჟინრის კვალიფიკაციით, მუშაობა დავიწყე საკავშირო გაერთიანება „ტყე-პროექტის“ ა/კ სატყეო-საპროექტო საწარმოში ინჟინერ-ტაქსატორის თანამდებობაზე. 1967 წელს ჩავირიცხე თბილისის სატყეო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელიც დავამთავრე 1970 წელს და დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია - „ტყის კულტურები, სელექცია, მეთესლეობა და ქალაქების გამწვანება“ (1972 წ.). ამ ინსტიტუტში ვმუშაობდი ლაბორანტად, უმცროს და უფროს მეცნიერ მუშაკად (1970-1976 წ.წ.); 1976 წლის მარტიდან 1989 წლის ოქტომბრამდე ვმუშაობდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში, ამავდროულად დაკავებული მქონდა მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის სამეცნიერო განყოფილების გამგის თანამდებობა; 1989 წლის ოქტომბრიდან 2006 წლამდე ვიყავი ბოტანიკური ბაღის დირექტორი, ხოლო 2006 წლიდან 2010 წლამდე დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ და აკადემიურ დარგში. 2009 წლიდან ვარ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი. 1974-1992 წლებში, სხვადასხვა დროს, ვეწეოდი პედაგოგიურ საქმიანობას დიდი ჯიხაიშისა და ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში, ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიურ ინსტიტუტში და ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. 1992 წლიდან ვარ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 1979 წელს მომენიჭა უფროსი მეცნიერი მუშაკის წოდება, 1990 წელს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია და მომენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 1991 წელს - პროფესორის სამეცნიერო წოდება.

- რა ძირითად პრობლემებზე მუშაობდით, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თქვენი, როგორც მეცნიერის აღიარებაში?

- დედამიწის ბუნებრივ რესურსებს შორის (ატმოსფერო, წყალი, წიაღისეული, ნიადაგი და ა. შ.) მრავალფუნქციური სარგებლობისაა და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის თვალსაზრისით, პირველ ადგილზე მცენარეულობა, განსაკუთრებით ტყეები დგას. ქიმიური და უმნიშვნელოვანესი ტექნოლოგიური გამოკვლევების მიუხედავად, შემცირების ნაცვლად, მოთხოვნილება ტყის ძირითად პროდუქტზე - მერქანზე რამდენადმე გაიზარდა, ამასთან, მთის ტყეები (რომლის ხვედრითი წილი საქართველოში 98 პროცენტზე მეტს შეადგენს) ასრულებს ნიადაგდაცვით, წყალდაცვით, წყალმარეგულირებელ, ბალნეოლოგიურ, ეროზიის, ზვავსაწინააღმდეგო და ა. შ. ფუნქციებს და ამით ფასდაუდებელი სარგებლობა მოაქვს ქვეყნის სახალხო მეურნეობის უკლებლივ ყველა დარგის განვითარებაში. აჭარაში მკვეთრადაა გამოხატული მთის ტყეების მრავალფუნქციური მნიშვნელობა და რეგიონის ეკოლოგიურ ოპტიმიზაციაში განსაკუთრებული როლი აკისრიათ, ამიტომ, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, პრაქტიკული სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოები, უმეტესწილად, აჭარის მთის ტყეების ცალკეულ ეკოსისტემაში ტარდებოდა იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები სასარგებლო იქნებოდა რესპუბლიკის სხვა რეგიონების მთის ტყეების დაცვითი ფუნქციების განმტკიცების თვალსაზრისით. დასახული კვლევის მიზნის მისაღწევად, ლიტერატურული წყაროების განზოგადების, საფონდო, საუწყებო და სხვა მასალების, აგრეთვე მრავალწლიანი საკუთარი გამოკვლევების შედეგების საფუძველზე, შესწავლილი და გაანალიზებულია რესპუბლიკის ტყეების თანამედროვე მდგომარეობა დაბლობის და სხვადასხვა ვერტიკალური სარტყლის ზონებსა და ქვეზონებში, გაშუქებულია რესპუბლიკის ტყეების სამეურნეო მნიშვნელობა, მისი ძირითადი ეკოლოგიური და სოციალური ფუნქციების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მხარეები; შესწავლილი და დახასიათებულია რესპუბლიკის ტყის ფონდი, ძირითადი ტყის ფორმაციების უმეტესად გავრცელებულ ტყის ტიპებსა და სამეურნეო ჯგუფებში ბუნებრივი განახლების პროცესის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები; ხანგრძლივი სტაციონარული საცდელ-ექსპერიმენტული კვლევის უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, შესწავლი-ლია აჭარაში უმეტესად ფართოდ გავრცელებული მთის ტყეების მცირე წყალშემკრებ აუზებში დაცვითი ფუნქციების (ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი, წყალდაცვითი და სხვ.) მახასიათებლები, რომლის შედარებითი მონაცემები საფუძვლად დაედო მთის ტყეების მდგომარეობის გაუმჯობესების მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფციის შემუშავებას. რესპუბლიკის მთის ტყეების მდგომარეობის გაუარესებისა და ხეტყის დამზადება-გამოზიდვის ძალზე შეზღუდულობის გამო, კოლხეთის დაბლობის სუსტად დაჭაობებულ ტერიტორიაზე განვახორციელეთ ძვირფასმერქნიანი სახეობების სამრეწველო დანიშნულების პლანტაციის შექმნისთვის ახალი ტექნოლოგიების შემუშავების ფართო მასშტაბის საწარმოო ცდები, რომლის წარმატებული შედეგები იმის გარანტიას იძლევა, რომ მერქანზე ქვეყნისათვის საჭირო მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან ერთად, უზრუნველყოფილი იქნება მთის ტყეების ეკოსისტემაზე ადამიანის ზემოქმედებით გამოწვეული ნეგატიური შედეგების აღმოფხვრის, ტყეების მდგომარეობისა და დაცვითი ფუნქციების გაუმჯობესება; ტყის განახლება-აღდგენის, დიდ ფართობზე ტყის კულტურების სამუშაოების წარმოებისათვის, მერქნიანი ტყის სახეობების სარგავ მასალაზე გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, დამუშავებული იქნა სატყეო სანერგეებში სტანდარტული სარგავი მასალის (ნერგების) დაჩქარებულად გამოყვანის ინტენსივობის ამაღლების ტექნოლოგიები; მრავალი წლის განმავლობაში ბათუმის ბოტანიკური ბაღის მეცნიერ თანამშრომლებთან ერთად ვსწავლობდი და ვახორციელებდი მსოფლიოს სხვადასხვა კლიმატური რეგიონებიდან (აღმოსავლეთ აზიის, ჰიმალაის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, სამხრეთ ნახევარსფეროს, ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და სხვ.) ინტროდუცირებულ მცენარეთა სახეობების ბიოეკოლოგიური თავისებურებების, სეზონური განვითარების რიტმის შესწავლას, შეცვლილ გარემო პირობებში შეგუებისა და პერსპექტიული მცენარეული სახეობების ტყის, გამწვანებით სამუშაოებში და სოფლის მეურნეობაში დანერგვით სამუშაოებს.

- ცნობილია, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აჭარიდან არჩეული იყო ოთხი მეცნიერი, მათგან სამი უკვე გარდაცვლილია. რა პერსპექტივას ხედავთ ამ მიმართებით?

- გასული საუკუნის 80-იან წლებში და 21-ე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემადგენლობაში ასარჩევ კანდიდატთა შერჩევისას, გათვალისწინებული იყო მიზნობრივი ადგილის გამოყოფა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებისთვისაც. 2016 წელს აჭარის უმაღლესი საბჭოს მხარდაჭერით და დახმარებით, უმაღლესი საბჭოს ტბელ აბუსერისძის სახელობის დარბაზში გამართულ ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომაზე მიიღეს სპეციალური დადგენილება ეროვნული აკადემიის წევრების კანდიდატების შერჩევისას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებისათვის მიზნობრივი ადგილის გამოყოფის შესახებ. უახლოეს პერიოდში ველოდებით ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

- სამეცნიერო ასპარეზზე დიდ წარმატებას მიაღწიეთ. აჭარის ისტორიაში პირველი ხართ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი. სად არის ამ წარმატებისკენ მიმავალი გზა?

- წარმატებისკენ მიმავალ გზაზე უამრავი სირთულე და დაბრკოლებაა, ამიტომ დიდი ნებისყოფაა საჭირო. ადამიანი, რომელსაც სუსტი ნებისყოფა აქვს, წინააღმდეგობა არ შეხვედრია, ვერ გაუმკლავდება სირთულეებთან ბრძოლას. მკაფიოდ უნდა დავისახოთ სამომავლო გეგმა, უნდა ვიცოდეთ, რა გვინდა. საქმის ბოლომდე მიყვანისათვის საჭიროა დროის რაციონალურად და მიზანმიმართულად გამოყენება. წარმატებისკენ მიმავალ გზაზე მნიშვნელოვანია ადამიანის განწყობა. ლექსიკონში არ უნდა არსებობდეს ფრაზები: „ამას ვერ შევძლებ“, „ეს რთულია“, „არ გამომივა“ და ა. შ. დიდი მნიშვნელობა აქვს თვითგანათლებასა და კითხვას. გახსოვდეთ, რომ წარმატება მოითხოვს მსხვერპლს. პოზიტიური აზროვნების ადამიანი აანალიზებს, სად დაუშვა შეცდომა, რომ სამომავლოდ მსგავსი რამ გამორიცხოს. უარყოფითი აზროვნების ადამიანი კი, პირიქით, საკუთარ მარცხს სხვას დააბრალებს, რითაც წინსვლის შესაძლებლობას ისპობს. ასევე მნიშვნელოვანია ვისწავლოთ ჩვენი ემოციების, აზროვნებისა და ფიქრების მართვა.

- ასაკის მიუხედავად რამდენად აქტიური ხართ მეცნიერულ მუშაობაში?

- როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, სამეცნიერო საბჭოსა და დარგობრივ კომისიებთან ერთად, ვეწევი რეგიონის სამეცნიერო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მეცნიერთა ინტელექტუალური პოტენციალის მობილიზებას და კოორდინაციას, მათ მიერ კვლევით მიღებული შედეგების პოპულარიზაციას; ვხელმძღვანელობ ავტონომიურ რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ არსებული სამეცნიერო დაწესებულებების მეცნიერთა მიერ მომზადებულ სამეცნიერო თემებზე და პროექტებზე მუშაობის წლიური და დამთავრებული სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების შედეგების დროულად მომზადებას და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში განსახილველად წარდგენას, ხელს ვუწყობ სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში მეცნიერთა ნამუშევრების განხილვას და გამოცემას, სამეცნიერო კონფერენციების და სიმპოზიუმების მომზადებასა და ჩატარებას, მეცნიერთა ჯგუფთან ერთად (როგორც ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი შემსრულებელი), ვამუშავებ საბიუჯეტო სამეცნიერო კვლევით თემას - „დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი ზონების ნიადაგების საწარმოო დახასიათება მათი ტყის კულტურების ათვისების მიზნით“; ვარ ბსუ-ის პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი - ყოველწლიურად მიმყავს არანაკლებ 4-5 სხვადასხვა საგანი და გამოსაცემად ვამზადებ 4-5 სამეცნიერო ნაშრომს. გასულ წელს მოვამზადე და გამოვეცი ორი მონოგრაფია, დავბეჭდე ორი სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალებში; ვარ აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ჟურნალის მთავარი რედაქტორი, სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე. მერე რა, რომ წლები მემატება, კაცი იმიტომ ცხოვრობ და ცოცხლობ, რომ დაბერდე. დღეს, როცა სულიერ ღირებულებებს გადაგვარების საფრთხე ემუქრება, საჭირო და სასარგებლოა ჭეშმარიტი ფასეულობების წარმოჩენა. მინდა ჩემი გულისტკივილი გამოვხატო დღევანდელი ვითარების გამო, როცა ასაკოვან ხალხს ჯეროვნად არ აფასებენ. არადა, გვყავს პიროვნებები, რომლებიც ჰაერივით სჭირდება საქართველოს, მათი პოტენციალის მცირე ნაწილიც კი არ არის გამოყენებული. როგორც იოგები ამბობენ, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მის კეთილ თვისებებზე - რაც მეტ სიკეთეს აკეთებს პიროვნება, მით უფრო ნაკლებად ავადდება და დიდია მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა. P.S. ბატონი ვანო პაპუნიძის მიერ განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის სახელოვანი გზა არ დარჩენილა უყურადღებოდ და შეუმჩნეველი. საზოგადოებამ ღირსეულად დააფასა მისი დიდი დვაწლი. არჩეულია საქართველოს ეკოლოგიურ, სოციალურ და აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიების ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მეტყევის საპატიო წოდება, არის იუნესკოს პროგრამის - „ადამიანი და ბიოსფეროს“ საქართველოს ეროვნული კომიტეტის და მრავალი საზოგადოების და კომისიის წევრი, დაჯილდოებულია არაერთი საპატიო სიგელით, მინიჭებული აქვს „საპატიო ბათუმელის“ და „საპატიო ქედელის“ წოდებები. შეტანილია წიგნში „21-ე საუკუნის მსოფლიოს 2000 გამოჩენილი ინტელექტუალისტი“ (დიდი ბრიტანეთი, კემბრიჯი).

ბატონი ვანო, რომელსაც სამი შვილი, ექვსი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი ჰყავს, ყველას მიმართ მზრუნველი, თბილი და მოსიყვარულეა. მას სათნო, კეთილი და ერთგული მეუღლე და კეთილშობილი დედა - ქალბატონი ნანული უმშვენებს გვერდს.

იუბილარს ღირსშესანიშნავი თარიღი მიულოცეს ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის სამეცნიერო წრეების და დაწესებულებების წარმომადგენლებმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა გიორგი კვესიტაძემ.

> *„დღეს, როცა სულიერ ღირებულებებს გადაგვარების საფრთხე ემუქრება, საჭირო და სასარგებლოა ჭეშმარიტი ფასეულობების წარმოჩენა. მინდა ჩემი გულისტკივილი გამოვხატო დღევანდელი ვითარების გამო, როცა ასაკოვან ხალხს ჯეროვნად არ აფასებენ. არადა, გვყავს პიროვნებები, რომლებიც ჰაერივით სჭირდება საქართველოს, მათი პოტენციალის მცირე ნაწილიც კი არ არის გამოყენებული. როგორც იოგები ამბობენ, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მის კეთილ თვისებებზე*

ნინო რაზმაძისთვის აჭარა განსაკუთრებით ძვირფასია

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ნინო რაზმაძის ფოლკლორული საქმიანობა აჭარაში 2010 წელს იწყება. იგი იყო პროექტის „ერთი სოფლის ფოლკლორი - მერისი, აჭარა“ ავტორი და ორგანიზატორი, რომლის ფარგლებშიც მერისელმა მომღერლებმა სოფლად 50 წლის წინ ჩაწერილი სიმღერები გააცოცხლეს. 2012 წლიდან მერისში აქტიურად დაიწყო ქართული სიმღერით დაინტერესებული უცხოელების სასწავლო ბანაკების ხელშეწყობა და დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ წლების განმავლობაში ნინო რაზმაძემ სხვადასხვა პროექტი თუ სასწავლო პროგრამა განახორციელა. მათ შორის იყო პროექტი „ერთი ხეობის ფოლკლორი - ჭვანა“, რომელიც ჯერ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში წარადგინეს, შემდეგ ბათუმის კულტურის ცენტრში (2019 წ.). ქალბატონი ნინო არის „საპატიო მერისელი“ (2015 წ.), „საპატიო ჭვანელი“ (2019 წ.) და „საპატიო ქედელი“ (2020 წ.). მისი კვლევის ძირითადი სფერო ქართული ტრადიციული საკრავებია. არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორის მოადგილე, ბიზნესმენისა და მეცენატის ვანო ჩხარტიშვილის მიერ დაფუძნებული საქველმოქმედო ფონდ „ქართული გალობისა“ და გალობის უნივერსიტეტის პროექტების მონიტორინგის ხელმძღვანელი. ნინო რაზმაძეს საქმიანობა გაუჭირდებოდა, რომ არა ხელმძღვანელების, ემერიტუს პროფესორ რუსუდან წურწუმიასა და ფონდის დამფუძნებლის ქალბატონ ნანა გოთუას მხარდაჭერა. ბოლო წლებში ტრადიციული რეწვის სფეროთიც დაინტერესდა.

***ნინო რაზმაძე** ჩვენი სტუმარია.*

- პირველ რიგში, მადლობას გიხდით, რომ კიდევ ერთხელ დაინტერესდით ჩემი მოკრძალებული საქმიანობით. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ცხოვრებასა და საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საოცარ ადამიანებს და აჭარას. 2021 წელს განხორციელებულ ოთხ მნიშვნელოვან პროექტს გამოვყოფდი აჭარის მიმართულებით: განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და რადიო „აჭარის“ მხარდაჭერით გამოვეცით რადიოს ფოლკლორული მუსიკალური ფონდის მასალები 350 აუდიონიმუშით. აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსა და საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციასთან, თემურ ტუნაძესა და ანო შანშიაშვილთან ერთად განვახორციელე ჩემი პირველი პროექტი ტრადიციული რეწვის მიმართულებით - „ქსოვილების ორნამენტი აჭარიდან“, რომელიც გახდა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კონკურსის „თავისუფალი პროექტების მხარდაჭერა“ გამარჯვებული. პროექტის თანადამფინანსებელი იყო ქედის მუნიციპალიტეტის მერია. დავასრულეთ ისტორიული პროექტი - ბსუ-ის ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის არქივში დაცული ფოლკლორული საექსპედიციო აუდიომასალის დამუშავება-აღწერა და ხელმისაწვდომობის გაზრდა, რომელზეც ვმუშაობდი ეთნომუსიკოლოგ ლოლა სურმანიძესთან ერთად. ამ შესაძლებლობისთვის მადლობას ვუხდი ინსტიტუტის ხელმძღვანელ როინ მალაყმაძეს. მოვიგე გაეროს განვითარების ფონდის უმნიშვნელოვანესი გრანტი ქედის მუნიციპალიტეტში ევროპული სტანდარტების ხის სათამაშოებისა და საბავშვო ავეჯის საწარმოს შესაქმნელად.

- „ქსოვილების ორნამენტი - აჭარიდან“ ახალი ციფრული გამოცემაა. საიდან გაჩნდა იდეა და რით არის ეს გამოცემა განსაკუთრებული?

- ამ პროექტზე დაუსრულებლად შემიძლია საუბარი. ვიტყვი, რომ რამდენადაც მდიდარი და უნიკალურია ქსოვისა და ქარგვის აჭარული ტრადიცია და ზოგადად, აჭარელ ქალთა ხელსაქმე, იმდენად მეტად სჭირდება შესწავლა-დოკუმენტირება, პოპულარიზება, ტრადიციის შენარჩუნება, მარკეტინგული აქტივობები. ამ საკითხით 2017-2018 წლებში დავინტერესდი „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრისა“ და ჩვენი ლატვიელი პარტნიორების ერთობლივ პროექტში მონაწილეობისას, რომელიც ოთხი ქვეყნის (ლატვია, ესტონეთი, მაკედონია, საქართველო) გამოცდილების გაზიარებას ითვალისწინებდა იუნესკოს მიერ აღიარებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზების საქმეში. საოცარი მაგალითები ვნახეთ, არაჩვეულებრივი რეწვის სახლები, ეთნიკურ ელემენტებზე დაფუძნებული უმაღლესი ხარისხის ტურისტული პროდუქტები. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სფერო არ არის, ძალიან მომინდა მსგავსი აქტივობის განხორციელება აჭარაში. ძალიან რთული იყო უკვე არსებული პროფესიის და მრავალი პასუხიმგებლობის პარალელურად, ახალ საქმეზე ფიქრი, მაგრამ გადავწყვიტე, საკითხს საფუძვლიანად მივდგომოდი. ცალკეული პროექტის განხორციელება კარგია, მაგრამ გავითვალისწინე ის რეკომენდაციები, რაც მოცემულია კვლევაში „ტრადიციული რეწვა საქართველოში, სექტორის კომპლექსური კვლევა და განვითარების სტრატეგია“ (2012 წ., ავტორები: მაკა დვალიშვილი, თამარ კიკნაძე, ანა შანშიაშვილი, ირინა მანია). დავიწყე ნაბიჯ-ნაბიჯ, მასალების შეგროვებით. წიგნში თავმოყრილია უმდიდრესი მასალა

იხ. მე-8 გვ.

ია ნვარში ღვინის ექსპორტი 51%-ით გაიზარდა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

„საქართველოდან მსოფლიოს 35 ქვეყანაში მიმდინარე წლის იანვარში ექსპორტირებულია 5,3 მილიონი ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 51%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს“, - ნათქვამია ღვინის ეროვნული სააგენტოს განცხადებაში.

უწყების ცნობით, ღვინის ექსპორტისგან მიღებულმა შემოსავალმა 11,6 მლნ აშშ დოლარს, ზრდამ კი 43%-ს მიაღწია.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლას შეფასებით, ექსპორტის ზრდის ტენდენცია შენარჩუნებულია როგორც რაოდენობრივად, ისე შემოსავლების მხრივ.

- ზოგადად, იანვარი ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის მხრივ ნაკლები აქტიურობით გამოირჩევა, თუმცა წელს დაფიქსირდა მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებელი, რაც ძალიან სასიხარულო ფაქტია და ვიმედოვნებთ, რომ ეს ზრდის ტენდენცია მთელი წლის განმავლობაში შენარჩუნდება, - განაცხადა ლევან მეხუზლამ.

ექსპორტის ზრდის დინამიკა შენარჩუნებულია სტრატეგიულ ბაზრებზე, სადაც ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო მარკეტინგულ ღონისძიებებს ახორციელებს: პოლონეთი - 103% (502.986 ბოთლი), ჩინეთი - 514% (278.493), ლიეტუვა - 114% (117.588), აშშ - 245% (79.890), ლატვია - 22% (92.892), ესტონეთი - 102% (64.344), იაპონია - 482% (17.280), დიდი ბრიტანეთი - 35% (42.528).

ზრდა აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებშიც: უკრაინა - 93% (574.566), ყაზახეთი - 106% (99.672), ნიდერლანდები - 74% (18.270), შვედეთი - 234% (19.590), რუსეთი - 34% (3.204.979), მონღოლეთი - 23% (40.884) და სხვ.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოდან სხვადასხვა მოცულობით ღვინის ექსპორტი 123-მა კომპანიამ განახორციელა.

ხსოვნა

მურმან (გიორგი) დუნდუა

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს

ერთმა დიდმა პოეტმა დაწერა ლექსი «კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს». იგი ისეთ პიროვნებაზეა დაწერილი, როგორიც ბატონი მურმან დუნდუა იყო, რომელიც ნამდვილად დააკლდა არა მხოლოდ ოჯახს, არა მხოლოდ ბათუმს, არამედ მთელ ჩვენს ქვეყანას.

საქართველოს საინჟინრო ამქარს, უფრო სწორად, მეგზვეთა პლეადას გამოაკლდა ღირსეული პიროვნება, ცნობილი გზათა მშენებელი, საქართველოსა და აჭარის დამსახურებული ინჟინერი, ორგზის ღირსების ორდენის კავალერი, მრავალი თაობის აღმზრდელი, განუმეორებელი მამა, სამაგალითო ბაბუა და უღალატო მეგობარი მურმან დუნდუა. იგი ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა აჭარის საგზაო სამმართველოს, მისი თაოსნობით აჭარის ყველა სოფელში შეიყვანეს გამართული თანამედროვე გზა. და არა მარტო აჭარაში. მისი პროექტითა და უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა ბახმაროს 50-კილომეტრიანი უნიკალური გზა, რომელიც დღესაც გამართულად მუშაობს.

მას ყველგან იცნობდნენ და პატივს სცემდნენ. მოწმე მე ვარ, რამდენჯერ შესთავაზეს დაწინაურება, მაგრამ მშობლიურ აჭარას არ უღალატა და არსად წასულა. ბოლო დროსაც უკვე ხანში შესული თავდაუზოგავად შრომობდა, თითქმის მის შექმნილ შპს «ზიმოში». მისი დაპროექტებულია ყველა ცენტრალური გზა, ხიდი და ა. შ. დღეს აჭარაში მოღვაწე თითქმის ყველა მეგზევე მისი აღზრდილია.

ორმოც წელზე მეტი ყოველ დილით ერთად დავდიოდით ბულვარში. ასე მგონია, ხვალიდან ზღვისპირეთი დაცარიელდება, რადგან ვერ დავინახავთ მუდამ წელგამართულ, მხიარულ კაცს, ჩვენს მურმანს და არავინ შემეკითხება, სადაა შენი ძმაკაცი, რატომ არ დადისო...

ბატონო მურმან, კიდევ ერთი პერიფრაზით მოგმართავთ: მეხის გავარდნას ჰგავს შენი სიკვდილი. როგორც არსენა მარაბდელს უთხრა ხალხმა, ჩვენც ისე გეუბნებით: «აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგეს».

მარადისობაში გადაბარგებულს, აქ დაგრჩა ერთადერთი ქალიშვილი, სასახელო სიძე, ორი ვაჟკაცი შვილიშვილი, შენი გაზრდილი თაობა და უამრავი გულშემატკივარი.

უფალმა ნათელში დაგიმკვიდროს სასუფეველი, ჩემო უფროსო, ჭკუის მასწავლებელო, გვერდში მდგომო ძმაო!

ჯონი ბარამიძე -
შპს «გურმანის»
კოლექტივთან ერთად

საქართველოს ბანკი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას აქტიურად განაგრძობს

საქართველოს ბანკისა და USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის თანამშრომლობით, უკვე 20-ზე მეტი ქართული კომპანია ჩაერთო მსუბუქი მრეწველობის განვითარების პროექტში. მონაწილე კომპანიებმა დარგის ექსპერტებისგან ისეთ საკითხებზე მიიღეს კონსულტაციები, როგორიცაა: ფინანსების მოზიდვა და ანალიტიკა, ახალი გაყიდვების არხების განსაზღვრა და სხვა. ერთ-ერთი ასეთი კომპანიაა „კავკასფექი“. იგი 2011 წლიდან ერთჯერადი შესაფუთი მასალების წარმოებას უზრუნველყოფს. გადამუშავებული ბოთლებისგან წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას კომპანია როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე - აშშ-ში, კანადაში, პანამაში, თურქეთში, უზბეკეთში, აზერბაიჯანში, რუსეთში, სომხეთსა და უკრაინაში ახორციელებს. დღეს კომპანია 90-ზე მეტ ადამიანს ასაქმებს.

- „კავკასფექის“ ფუნდამენტურ პრინციპს ეკოლოგიაზე ზრუნვა წარმოადგენს. მოსახლეობის მიერ გამოყენებული პლასტმასის ბოთლი არ ხვდება ბუნებაში და მისი რეციკლირების საფუძველზე ვიღებთ ახალ პროდუქტს. ამუამად ჩვენი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ენერგოეფექტურობის გაზრდაა. საქართველოს ბანკისა და USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ერთობლივი პროექტის ფარგლებში გვაძლევა შესაძლებლობა, ავიმაღლოთ კვალიფიკაცია, ვიყოთ უფრო მოქნილები და, გაზრდილი შესაძლებლობების საფუძველზე, გავხდეთ მეტად კონკურენტუნარიანები როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე, - აცხადებს „კავკასფექის“ დირექტორი და დამფუძნებელი ამირან ცერცვაძე.

***ინფორმაციისთვის:** საქართველოს ბანკისა და USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მსუბუქი მრეწველობის განვითარების პროექტი განკუთვნილია იმ ბიზნესებისთვის, რომლებიც საქმიანობენ სამშენებლო მასალების დამზადების, ავეჯის ან სათამაშოების წარმოებისა და დიზაინის მიმართულებით. ან ახორციელებენ მყარი ნარჩენების გადამუშავების, შესაფუთი მასალებისა თუ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (Personal Protective Equipment - PPE) წარმოებას. პროექტი კომპანიებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, დარგის ექსპერტებისგან მიიღონ ისეთ საკითხებზე ინფორმაცია, როგორიცაა: ფინანსების მოზიდვა და ფინანსური ანალიტიკა, ექსპორტის დაგეგმვა, ადგილობრივი ბაზრის კვლევა, გაყიდვების ახალი არხების განსაზღვრა და სხვა.*

ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საპატიო მეგზევე, აჭარისა და საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ორგზის ღირსების ორდენოსანი

მურმან (გიორგი) დუნდუა.

დაკრძალვა 10 II, 3 ს. რუსთაველის ქ. №14.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 9/02/22, 19 ⁵⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ნინო რაზმაძისთვის აჭარა განსაკუთრებით ძვირფასია

მე-7 გვერდიდან

- სიხმები, არტახები, ფარდაგები, წინდები, ხელთათმანები, ქისები და სხვა, რომლებიც, ძირითადად, აჭარის სახელმწიფო მუზეუმებსა და ნაწილობრივ, ოჯახებშია დაცული. ამ პროექტს განსაკუთრებული პარტნიორები ჰყავს - „აჭარის მუზეუმი“ და ეთნოგრაფიული მუზეუმი „ბორჯღალო“. პროექტში ჩართული ყველა პირის თუ მასალის მესაკუთრის მადლიერი ვარ, მაგრამ მათ შორის გამორჩეული იყო ამ მუზეუმების ხელმძღვანელების თეონა ზოიძისა და ქემალ თურმანიძის მხარდაჭერა. იქიდან გამომდინარე, რომ „თავისუფალი პროექტების მხარდაჭერის“ კონკურსი ინოვაციურ კომპონენტს ითვალისწინებდა, პროექტში შევიტანეთ ორნამენტების გაციფრულება. წიგნი ასევე მდიდარია მკვლევარების ჯემალ ვარშალომიძისა და ნანული ნოღაიდელის მასალებით, სხვადასხვა საექსპედიციო ხელნაწერიდან ამონარიდებით. ეს მასალები გამოადგება მომხმარებელთა ფართო სპექტრს როგორც კვლევის, ისე კომერციული საქმიანობის მიმართულებით. შემდეგი ნაბიჯები უკვე ქსოვისა და ქარგვის ადგილობრივი ტექნიკის შესწავლა-დოკუმენტირება, ძაფის ღებვის ადგილობრივი ტრადიციის დაბრუნება, ფარდაგების ქსოვის პოპულარიზება და ბოლოს, უნიკალური კოლექტიური შრომის პროცესის - ქალთა ნადის აღდგენაა. საბოლოოდ, ძალიან მინდა სოციალური საწარმო „რეწვის სახლი აჭარაში“ შევქმნა. ვნახოთ, რამდენად შევძლებ ოცნების რეალიზებას.

- როგორ მოხვდით აქსელერაციის პროგრამა „სტარტას“ მიერ შერჩეულ 25 ქალ მეწარმეს შორის?

- დღეს საკმაოდ ბევრი შესაძლებლობა არსებობს ჩემნაირი დამწყები თუ უკვე გამოცდილი მეწარმეებისთვის, რათა აიმაღლონ საკუთარი ცოდნა და კომპეტენცია. „სტარტაც“ ასეთი, ერთ-ერთი არაჩვეულებრივი პროექტია, რომელსაც ორგანიზაცია „სმედა“ ახორციელებს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით. ჰუმანიტარული განათლებით და ბიზნესში ნული გამოცდილებით, ძალიან მიჭირს ახალი საქმიანობის დაწყება, ამიტომ პანდემიის პერიოდში ჩემთვის უცხო ბევრი ახალი ინფორმაცია მოვიძიე. მუდმივად ვცდილობ, ვსწავლობდე. პროგრამაში მონაწილეები კონკურსის წესით შეარჩიეს. ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, რომ „სმედას“ გუნდმა მომცა ეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობა, რადგან ამ პროგრამაში საუკეთესო მენტორები არიან ჩართულები და თეორიული ცოდნის მიღების გარდა, ინდივიდუალური მენტორინგის შესაძლებლობაც გვეძლევა.

- სად აპირებთ საწარმოს აშენებას და როგორ მიმდინარეობს პროექტი?

- საწარმოს ქედის მუნიციპალიტეტის მერისის ხეობის სოფელ გუნდაურში ვაშენებ. ლოკაცია ორი კრიტერიუმის მიხედვით ავარჩიე: ადგილობრივი პარტნიორი - მურმან თურმანიძე, რომელიც მომავალში საწარმოო პროცესს უხელმძღვანელებს, ვფიქრობ, იდეალური მმართველი იქნება. ის არის წესიერი, შრომისმოყვარე, მოხერხებული და სანდო ადამიანი; მეორე ფაქტორი საწარმოს სამომავლო ტურისტული პოტენციალია. მინდა, ჩემი საქმიანობა სასარგებლო გავხადო ადგილობრივი ხის ოსტატებისათვის. განსაკუთრებით ახალგაზრდა ოსტატ რესან ჟოჟაძის იმედი მაქვს, რომელთანაც ვთანამშრომლობ. ეს ყველაფერი ძალიან რთული აღმოჩნდა. ჯერ კიდევ მშენებლობის ნებართვის აღების დაუსრულებელ პროცესში ვარ. შპს-ს სახელია „გოგორა“, რაც აჭარული დიალექტით ბორბალს ნიშნავს. ზოგადად, ჩემთვის ინსპირაცია აჭარული ხალხური სათამაშოებია.

- რა დამოკიდებულება გაქვთ „მეგადორსის“ მფლობელ რაულ გაბაიძესთან?

- ბატონ რაულთან გასულ წელს პროფესიულ კოლეჯ „სპექტრის“ ხელმძღვანელმა მათე ტაკიძემ დამაკავშირა. იგი, როგორც დამწყებ მეწარმეს, მხარს მიჭერს და მეხმარება პროდუქტების პროტოტიპების შექმნაში. ახლახან „აწარმოე საქართველოში“-ს მიერ ორგანიზებული „ექსპორტის მენეჯმენტის“ კურსი გავიარე. ევროპული სტანდარტების და სერტიფიცირების საკითხში მიღებული ცოდნა დამეხმარა, უკეთ გამეგო, რამდენად გამართული და თანამედროვე სტანდარტის წარმოება აქვს „მეგადორსს“. ამ რანგის გამოცდილ ადამიანთან ურთიერთობა დიდი ფუფუნებაა. იმედი მაქვს, გავუმართლებ იმედებს და შევძლებ კულტურულთან ერთად, ჩემი, თუნდაც უმცირესი, წვლილი შევიტანო აჭარის მთიანეთში მცხოვრებთა ეკონომიკურ განვითარებაში.

- ფილმი „აჭარული მზითვის ფერი“ რა ადგილს დაიჭერს ნინო რაზმაძის შემოქმედებაში?

- ეს ფილმი ჩემს მეგობარსა და კოლეგას ირმა შარიქაძეს ეკუთვნის. მან ძალიან დიდი შრომა ჩადო, რომ აჭარელი ქალების ხელსაქმე და მათი შემოქმედება ნაქარგობების მიმართულებით ფართო საზოგადოებისათვის გაეცნო. მუდმივად ვცდილობ, ყველას, ვისაც აჭარის პოპულარიზაციაში და აქაურების ინტერესების დაცვაში თავისი წვლილი შეუძლია შეიტანოს, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში მხარი დავუჭირო, ან შევთავაზო აჭარაში მოგზაურობა. მიხარია, რომ მათ შორის აღმოჩნდა ირმა შარიქაძეც, რომელიც ჩვენი ექსპედიციის მეგზური იყო და აჭარულ საგანძურს ადგილზე, მთიანეთში გაეცნო. იგი აღფრთოვანდა აჭარელი ქალების ხელსაქმით.

- რამდენად ხართ ჩართული არტემ ერქომაიშვილის სახელობის საერთაშორისო კონკურსში?

- არტემ ერქომაიშვილის სახელობის ქართული გალობის შემსრულებელთა და მკვლევართა კონკურსი საქველმოქმედო ფონდ „ქართული გალობის“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პროექტია. კონკურსის დაფუძნების დღიდან ჩართული ვარ მის საორგანიზაციო საკითხებში, ხოლო 2021 წელს თავადაც გავხდი პროექტის „ახალგაზრდული სამეცნიერო პუბლიკაცია“ ნომინანტი სტატიისთვის „საკრავების აღმნიშვნელი ტერმინები ბიბლიის ქართულ თარგმანებში“. ეს ნაშრომი აწ გარდაცვლილ ოქსფორდელ პროფესორ ჯერემი მონტეგიუს კონსულტაციით მოვამზადე.

- 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი აჭარას რა ადგილს უთმობთ?

- ჩემი სამეცნიერო კვლევის არეალი, ძირითადად, ტრადიციული მუსიკალური საკრავებია. აჭარასთან დაკავშირებით უფრო სანოტო კრებულების, აუდიომასალების აღწერა-დამუშავება-სისტემატიზების მიმართულებით ვმუშაობ. შარშან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მხარდაჭერით დავიწყე აჭარული მუსიკალური საკრავების ალბომზე მუშაობა. განსაკუთრებული იყო ჩემთვის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისთვის მომზადებული ოთხენოვანი გამოცემა „ქართული მრავალხმიანობა დასავლეთ თურქეთში: პიტერ გოლდის ნაკვალევზე“ (2018, 2019 წწ), რომელზეც თურქ კოლეგასთან, პროფესორ აბდულა აკატისთან ერთად ვიმუშავე. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და ფონდ „ქართული გალობის“ მხარდაჭერით, ქორეოლოგ უჩა დვალიშვილსა და ალეკო გელაშვილთან ერთად მოვაწყვე ქორეოლოგიური ექსპედიცია „ინეგოლსა (თურქეთი) და აჭარაში მცხოვრებთა ტრადიციული ცეკვისა და საცეკვაო დასაკრავების შედარებითი შესწავლა (კომპლექსური ექსპედიცია აჭარაში)“, ასევე გერმანულ-ქართული ექსპედიცია აჭარის მთიანეთში გერმანელ მკვლევარ ფრანკ შერბაუმსა და ქართველ ეთნომუსიკოლოგ ნანა მუავანაძესთან ერთად. ვმუშაობ „აჭარული ტრადიციული სიმღერის ანთოლოგიაზე“, პირველი ორი ტომის მასალები, ფაქტობრივად, მზად მაქვს.

- მეუღლეს - ლაშა ყურაშვილს რა როლი აქვს თქვენი, როგორც ეთნომუსიკოლოგის ცხოვრებაში?

- ის ჩემი მუდმივი მხარდამჭერია. ძალიან მიწყობს ხელს როგორც მორალურად, ისე პროცესებში ჩართულობითაც. მაგალითად, ხშირად მიუღია მონაწილეობა ექსპედიციებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი დახმარება კონცერტების წინა დღეებში, როცა ყველაზე დაძაბულად ვმუშაობ, ამასთან, ის მეხმარება, არ დავარღვიო ბალანსი სამსახურსა და ოჯახს შორის.

- დაძაბული შემოქმედებითი საქმიანობის პარალელურად, ოთხ შვილსაც ზრდით. მეუღლის გარდა ვინ გეხმარებათ?

- ეს ერთ-ერთი რთული და ყველასთვის აქტუალური თემაა. თითქმის ყოველდღიურად ვეძებ ხერხებს, როგორ დავხვეწო ჩემი მენეჯმენტის სისტემა, რომ რაც შეიძლება მეტი მოვასწრო. მეოთხე შვილი შარშან შეგვეძინა. დაიბადა თუ არა, იმავე საღამოს კიდევ ერთი პროექტი დავწერე და მოვიგეთ კიდეც. პანდემიის პერიოდში თბილისიდან წავკისში გადავედით, დედაჩემი ჩვენთან ცხოვრობს, დამხმარეც გვყავს, მაგრამ ძალიან ბევრი რამ არის, რასაც ვერ ვასწრებ. განსაკუთრებით ეს ეხება სადისერტაციო ნაშრომს, რომლის დასასრულებლად ორკვირიანი ინტენსიური მუშაობაც საკმარისი იქნებოდა, თუმცა ყოველდღიურად რაღაც სხვა, „სასწრაფოდ დასასრულებელი“ საქმე ჩნდება.

- საკუთარ წარმატებაზე მეტად ახალგაზრდა მუსიკოსების, ეთნომუსიკოლოგების მიღწევები გახარებთ. გამორჩეულ აქცენტს ვისზე გააკეთებდით?

- კონკრეტულად ვერავის გამოვარჩევდი, ზოგადად, მახარებს სხვისი წარმატება. კონკურენციის ნაწილშიც უფრო გლობალურად ვუყურებ საკითხს. იგივე დამოკიდებულება მაქვს ბიზნესშიც. ჩვენი კონკურენტი არ შეიძლება იყოს კურსელი, კოლეგა, მეზობელი ან მეზობელ რაიონში მცხოვრები ადამიანი. ჩვენ, ყველა ერთად, განვითარებაზე და საერთაშორისო წარმატებაზე უნდა ვიყოთ კონცენტრირებულები. ეს ჩემი მყარი პოზიციაა და ამ დამოკიდებულებით ვაპირებ მომავალშიც საქმიანობას.

- შვილებს ხელოვნების სფეროსკენ თუ აქვთ მიდრეკილება?

- უფროსი ქალიშვილი ელენეა ხელოვნებით გატაცებული. უყვარს ცეკვა, სიმღერა, ხატავს, ძერწავს, მუშაობს თექაზე... ნოე და ნენე უფრო პანდემიის პერიოდის ბავშვები არიან და შინ საღებავებით თხუპნას ამჯობინებენ.

- ტრადიციების ერთგული ხართ...

- დიახ, ეს ჩემი ცხოვრების წესია. საქმიანობით, ფაქტობრივად, სულ ტრადიციული თემების ირგვლივ ვტრიალებ და ჩემი სათამაშოების სერიაც ამ მიმართულების იქნება.

- ანზორ ერქომაიშვილთან დიდი სიახლოვე გქონდათ. მისი საქმიანობის გამგრძელებლად ვის მიიჩნევთ?

- ბატონ ანზორთან ურთიერთობა დიდი გამოცდილება იყო, მას ჩემზე დიდი ამაგი აქვს, ისევე, როგორც ძალიან ბევრ სხვა ადამიანზე. ჩვენ, ყველანი, მის და სხვა, თითზე ჩამოსათვლელი ადამიანების გაკვალულ გზაზე დავდივართ. რაც შეეხება მისი საქმიანობის გამგრძელებელს, ვიტყოდი, რომ ყველას თავისი წილი გზა აქვს გასავლელი. დღეს ორგანიზაციის სტრუქტურის, მისიისა თუ შესაძლებლობის მიხედვით, ქართული ფოლკლორის კვლევაში, შემსრულებლობაში, შენარჩუნება-პოპულარიზებაში რამდენიმე ორგანიზაციის საქმიანობას აკისრია მნიშვნელოვანი როლი. მათ შორის გამორჩეულია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი. მათ მხარს უჭერენ სახელმწიფო და კერძო ინსტიტუციები, როგორიცაა შესაბამისი სამინისტროები, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, საქველმოქმედო ფონდი „ქართული გალობა“ და სხვა.

- ძვირფასი ადამიანები, რომლებიც პანდემიის პერიოდში დაკარგეთ...

- ოთხ ადამიანს გამოვყოფდი - ქალბატონები ნინო კალანდაძე-მახარაძე, ლია სალაყაია, ბატონები ანზორ ერქომაიშვილი და ტარიელ ფუტკარაძე. 2021 წელი ადამიანური რესურსის წარმოუდგენელი დანაკარგების დრო იყო.

- მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც ბავშვობიდან მოგყვებათ?

- ალბათ, ჩონგური: მეგრული, გურული და ბოლოს - აჭარული.

- 2022 წლის პირველი პროექტი რა იქნება?

- ჩემი პროექტების უმეტესობა გრძელვადიანია და ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობს. ამდენად, რიგითობის მინიჭება გამიჭირდება. წელს ვაპირებ დავასრულო დისერტაცია, მოვამზადო ორი სამეცნიერო სტატია იუნესკოსა და ჰარვარდის უნივერსიტეტების გამოცემებისთვის, ვიწყებ ეროვნული მუზეუმის საკრავების კატალოგზე მუშაობას, დავასრულებ საწარმოს მშენებლობას, განვახორციელებ რამდენიმე ახალ პროექტს რეწვაში...

- შემოქმედებით საქმიანობაში კურიოზებიც გექნებოდათ.

- შემოქმედებითი საქმიანობისა რა გითხრათ, მაგრამ საწარმოს მშენებლობის პროცესი თავიდან ბოლომდე კურიოზია. ვიტყოდი, რომ ერთ დიდ, კომიკურ სიტუაციაში ვარ. ყველა ბიუროკრატიულ, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პრობლემას უკვე როგორც კურიოზს, ისე ვუყურებ. კარგი იქნებოდა, ეს ყველაფერი საქმისთვის შემაფერხებელი არ ყოფილიყო. მაგალითად, ჩემი ბოლო კურიოზი ქედის მუნიციპალიტეტში მშენებლობისთვის ძლივს შეტანილი პირველი ეტაპის დოკუმენტაციის ხარვეზი იყო. თურმე განცხადების მისამართში ხულოს მუნიციპალიტეტი იყო მითითებული ქედის ნაცვლად. ასევე ეწერა, რომ საწარმოს ბათუმის მუნიციპალიტეტში ვაშენებდი... ასეთ „კურიოზებში“ გავლიე ბოლო ნახევარი წელი და კიდევ უფრო დავაფასე ბიზნესსაქმიანობით დაკავებული ადამიანები.

- რას ვერ ასწრებთ, რაზეც ხშირად გწყდებათ გული?

- მინდა მეტი საექსპედიციო მუშაობა, მთაში მცხოვრები მეტი ადამიანის გაცნობა. ძალიან მიყვარს აჭარლების სილაღე, სტუმართმოყვარეობა, სითბო, მათი ძველი ნივთების დათვალიერება, აქაური ხის ძველებური სახლები. ეს ყველაფერი ძალიან მაკლია, რაც პანდემიის „დამსახურებაც“ არის. იმედია, წინ მრავალი გულთბილი, შინაარსიანი, კეთილი ურთიერთობა მელოდება.

- რით მოიგეთ აჭარლების გული?

- ალბათ, გულწრფელი სიყვარულითა და სამართლიანობით. მინდა, ყველა ოჯახს ვესტუმრო, დავინახო მათი მისწრაფებები, ინტერესები, ჩავრთო ყველა ჩემს პროექტსა თუ აქტივობაში. ვცდილობ, ადგილობრივების ინტერესები გავითვალისწინო და მხოლოდ ჩემდა სასიკეთოდ არ გავისარჯო. ვფიქრობ, ამას კარგად ამჩნევენ. ყველაზე ძვირფასი, რაც მასულდგმულებს, ის უკუკავშირია, რომელსაც ვიღებ მათგან სიყვარულისა და დადებითი ემოციების სახით.